ვირის აბანო

A5

მთავარი ავსტრალიელი გავარდა

A6

ბედკრული ქათამი, ქურდი და მწერალი

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 20 იანვარი, 2006 წელი. №11 (1163)

ფასი 50 თეთრი

ამბები

საქართველოს მთავრობა დიპლომატიურ კორპუსს დახმარებას სთხოვს

ალბათობა იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს კიდევ ერთხელ დაეხმარებოდნენ, მას შემდეგ გაჩნდა, რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ტელევიზიით გვამცნო იმ ტრაგიკულ შედეგებზე, რაც "ფრინველის გრიპის" გავრცელების შემთხვევაში გველის.

A2

სამართალი

გადაამეტა თუ არა სპეცრაზმმა უფლებებს?

თითქმის ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც გენერალურ პროკურატურას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წერილობით მიმართეს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაწყებული ბუნტის დროს, პატიმრებისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ფაქტების გამოძება მოითხოვეს.

A4

სპორტი

მამა დოკიჩი ქალიშვილს იტაცებს

ერთ ხანს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ახლა კი, სამ ასეულს მიღმა მყოფი ყოფილი იუგოსლავიელი ჩოგბურთელის ელენა დოკიჩის მამა - დამირ დოკიჩი იმუქრება, ჩემს გაავსტრალიელებულ ქალიშვილს მოვიტაცებ და მერე სიცოცხლეს გამოვასალმებ იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში საცხოვრებლად და სათამაშოდ დაბრუნდაო.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	20/01	21 /01
თბილისი	-3	2
ქუთაისი	1	0
სოხუმი	0	-1
გორი	-3	-2
ონი	-9	-7
ზუგდიდი	3	1
ახმეტა	-4	2
გაგრა	-1	-5
სამტრედია	4	1

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8075
ევრო	2.1912
გირვანქა სტერლ.	3.1919
რუბლი	0.0639

ამბები	A 2
ამბები	A 3
სამართალი	A 4
ნარკვევი	A 5
სპორტი	A 6
ფოსტა	A 7
სხვადასხვა	A 8

გილაურმა გამოცდა "ხუთიანზე" ჩააბარა

პრეზიდენტი ენერგეტიკული პოლიტიკით კმაყოფილია

დიანა ჩაჩუა

ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გასულ წელს განხორციელებული საქმიანობისთვის შექება უკვე მეორედ დაიმსახურა, ამჯერად - ქვეყნის პრეზიდენტისაგან. მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ენერგოსისტემაში განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილია. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა მთავრობის გუშინდელი სხდომის მთავარი თემა იყო.

გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა საქართველოს პრეზიდენტს 2005 წლის ანგარიში ჩააბარა.

"ვაცხადებ იმ ადამიანებისთვის, ვისაც გრძელი ენა და მოკლე ტვინი აქვთ: ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტრომომარაგება ასი პროცენტით იყო უზრუნველყოფილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

დღეს "ხუთიანი", რა ნიშანი იქნება სამი წლის შემდეგ?

მესაკუთრე ის გახდება, ვინც მეტს გადაიხდის?

ადგილობრივი ინვესტორები EBRD-ის შანსს ვერ იყენებენ

თინა შავაძე

სახელმწიფო ქონების კერძო პირებზე გადაცემა გრძელდება. ხელისუფლება მიმზიდველ ობიექტს იმ მესაკუთრეზე ყიდის, ვინც მეტს გადაიხდის. ასეთი მიდგომა ექსპერტთა დიდ ნაწილს გაუმართლებლად მიაჩნია რამდენიმე მიზეზის გამო. პერსპექტიული დარგების პრივატიზებისას ადგილობრივი კომპანიებისთვის ობიექტის გასაყიდი ფასი ხელმისაწვდომი არ არის. ხელისუფლების არასწორი საპრივატიზაციო პოლიტიკის გამო ადგილობრივი ინვესტორები დღემდე ვერ იყენებენ იმ შანსს, რომელსაც მათ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი სთავაზობს.

2004 წელს ახალმა ხელისუფლებამ პრივატიზაცია აჭარიდან დაიწყო და გასაყიდად ოთხი ტურისტული ობიექტი გამოიტანა. მას ეს ნაბიჯი დაუფიქრებლად არ გადაუდგამს. საქართველოში არსებობს პერსპექტივა, რომ, სოფლის მეურნეობასთან ერთად, ტურიზმი ქვეყნის შემოსავლის მთავარი წყარო გახდეს. ამას საბიუჯეტო მონაცემებიც ადასტურებს. 2004 წლის პირველი კვარტლის მიხედვით, არსებული ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი, ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გასული წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით 10 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. გასული 2005 წლის ეს მაჩვენებელი დღემდე ცნობილი არ არის, თუმცა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საბა კიკნაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ გასულ წელს ტურისტთა რაოდენობის შემოსვლა ქვეყანაში ორჯერ გაიზარდა. წინასწარი მონაცემებით, ეს ერთადერთი დარგია, რომელშიც შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"მზიურის" პრივატიზაციის ასპექტები

დავით ბერიტაშვილი
მოსკოვის
ქართული სათვისტომო

მოსკოვში არსებული ქართული ობიექტების გარშემო საგანგაშო სიტუაციის შესახებ წერილობით ორჯერ მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს (2004 წლის 26 ივნისს და 29 სექტემბერს), ხოლო შემდგომში - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს (2005 წლის 20 აპრილს). კონფიდენციალური რეკომენდაციის პრესაში ნაადრევი გამოქვეყნება, უფრო მტრების გამოფხიზლებას გამოიწვევს, ვიდრე მოემსახურება ჩვენს ქვეყანას. სანდალური აქციების ჩატარება კი, დამახასიათებელია პოლიტიკურად გაკოტრებული ოპოზიციონერებისთვის, რომლებიც დაცემული რეიტინგის ამაღლებაზე ოცნებობენ. ასეთი რამ ჩვენი დიასპორის ამოცანებისგან შორს დგას. ამიტომაც მივმართეთ პრესას მხოლოდ ახლა.

გაგრძელება A7 გვერდზე

"მზიურის" შიდა ეზო და ორსართულიანი ფლიგელი.

ევროპის გზაზე გაყინული რუსული გაზი

ერთი თვის განმავლობაში მეორედ, რუსული გაზის ევროპული ქვეყნებისთვის მიწოდება შეზღუდვებით ხორციელდება. ამ შემთხვევაში მიზეზი რუსეთში არსებული ყინვებია. ეს ფაქტი განსაკუთრებით იტალიას აზარალებს, სადაც ბუნებრივი აირის იმპორტის შემცირებამ საწარმოების გაჩერება გამოიწვია. რუსული გაზის მიწოდება შეზღუდულია ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც. დაზარალებულები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საგანგებო შეხვედრის მოწვევას ითხოვენ.

დიანა ჩაჩუა

რუსული ყინვების გამო, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად იტალიამ იზარალა. ქვეყანა, რომელიც რუსული გაზის იმპორტით საკუთარი მოთხოვნილებების მეოთხედს იკმაყოფილებს, იძულებულია, სახელმწიფოს სტრატეგიული რეზერვები გახსნას. გუშინ, გვიან ღამით იტალიაში მთავრობის საგანგებო სხდომა ჩატარდა, სადაც აღნიშნული საკითხები განიხილეს. ამავე დროს, მოსალოდნელი დეფიციტის აღმოსაფხვრელად და გაზისა და ელექტროენერგიის დამატებითი მოცულობების მოსაძიებლად, იტალიელები წამყვან ენერგეტიკულ კომპანიებთან "საგანგებო მოლაპარაკებებს" მართავენ.

ევროკომისიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასულ დღეებში უნგრეთმა, სერბეთმა და ხორვატიამ რუსული გაზის 25 პროცენტი, იტალიამ კი 5,4 პროცენტი ვერ მიიღეს.

"რუსეთში ყინვები რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდება. შესაბამისად, რუსული გაზის დასავლეთ ევროპისთვის მიწოდება, სადაც ტემპერატურა ასევე ნორმის ქვევითაა, კვლავ შეზღუდვებით განხორციელდება," - წერს გაზეთი "T"-ი.

რუსული გაზის მიწოდებისას შექმნილმა პრობლემებმა ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებული შეშფოთება გააძლიერა. უნგრეთის ეკონომიკის მინისტრმა იანოშ კოკამ ქვეყნის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად საერთაშორისო მოლაპარაკებები წამოიწყო. ამასთან დაკავშირებით, უნგრეთის ეკონომიკის მინისტრს სატელეფონო საუბარი ჰქონდა აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრთან სამუელ ბოდმანთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქართული მხარე ფარ-ხმალს არ ყრის

15 თებერვალს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბაროს იმ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობო ძალების საქმიანობას შეეხება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ შსკ-ს სხდომის თბილისში ჩატარება უპრიანია, რადგან სხდომამ სწორედ სამშვიდობოების საქმიანობის საკითხი უნდა განიხილოს.

ნათია მსხილაძე

ქართული მხარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩატარებას კვლავ თბილისში ითხოვს. ამის შესახებ განცხადებას სახელმწიფო მინისტრი აშშ-ს ელჩთან ჯონ ტეფტთან შეხვედრის შემდეგ აკეთებს. მისი თქმით, ქართული მხარე აქტიურად მუშაობს ოსურ-რუსულ მხარეებთან და ცდილობს დაარწმუნოს, რომ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩატარება თბილისში უფრო ეფექტური იქნება. რაც შეეხება სხდომის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ შსკ-ს თანათავმჯდომარეთა უსაფრთხოებაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს. **"ჩვენ რეალურად ვაფასებთ ყველა სასიკეთო ძვრას, რაც რეგიონში სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობას ახლავს, მაგრამ პრობლემებზე თვალის დახუჭვას არ ვაპირებთ. ამიტომაც, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა თბილისში.**

გაგრძელება A2 გვერდზე

"Human Rights Watch"-ის კრიტიკის მთავარი სამიზნე ამერიკაა

ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის "Human Rights Watch"-ის მიერ გამოქვეყნებულმა ტრადიციულმა, წლიურმა მოხსენებამ მთელი მსოფლიოს ყურადღება დაიმსახურა. მოხსენების ძირითადი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება. ამ ანგარიშით გამოწვეული უკმაყოფილება ამერიკის ხელისუფლებამ უკვე საჯაროდ გამოთქვა. გარდა ამისა, მოხსენებაში, სხვა ქვეყნებთან ერთად, ერთი თავი აქვს დათმობილი საქართველოსაც.

სოფიკო ჩხაიძე

ადამიანის უფლებათა დამცველებმა შეერთებული შტატები დაადანაშაულეს იმაში, რომ ადამიანების წამება და არაჰუმანური მოპყრობა იქ გამონაკლისი შემთხვევები კი არა, ხელისუფლების მიერ წარმოებული ანტიტერორისტული სტრატეგიის ნაწილია.

თავის მხრივ, თეთრი სახლი არ ეთანხმება "Human Rights Watch"-ის კრიტიკას და მას "პოლიტიკურად მოტივირებულს" უწოდებს. შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრეს-მდივანმა სკოტ მაკლელანმა, მართალია, აღიარა, რომ მოხსენება არ წაუკითხავს, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია მას საშუალებას აძლევს იფიქროს, რომ **"მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებები იმდენად ფაქტებს არ ეყრდნობა, რამდენადაც მისი ავტორების პოლიტიკურ პოზიციას."** მისივე აზრით, აჯობებდა, ადამიანის უფლებათა დამცველებს მეტი ყურადღება იმათთვის მიექციათ, ვინც მართლაც არღვევს ადამიანის უფლებებს.

თავად ადამიანის უფლებათა დამცველები, ცხადია, არ ეთანხმებიან შენიშვნებს. **"ტერორიზმთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ცენტრალური თემა გახლავთ,** - აცხადებს "Human Rights Watch"-ის აღმასრულებელი დირექტორი კენეტ როტი, - **მაგრამ სავარაუდო ტერორისტების მიმართ უკანონო მეთოდების გამოყენება ასევე არასწორი და საწინააღმდეგო ეფექტის მომტანია. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის გამართლება ვაშინგტონს უფლებას ართმევს, ადამიანის უფლებათა დამცველად გამოდიოდეს".**

გაგრძელება A4 გვერდზე

გასულ წელს საბანკო სექტორი უპრეცედენტოდ სწრაფად ვითარდებოდა

2005 წელს საქართველოს საბანკო სექტორი სწრაფი ტემპით განვითარდა. ამას 2005 წლის საბანკო სექტორის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომელიც "24 საათს" ეროვნულმა ბანკმა მიაწოდა.

კერძოდ, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 50 პროცენტით, სააქციო კაპიტალი - 28,7 პროცენტით, წმინდა მოგება - 124,7 პროცენტით, აქტივებზე შემოსავალი - 29,2 პროცენტით, კაპიტალზე შემოსავალი - 49 პროცენტით, მთლიანი სესხების საერთო მოცულობა - 83,2 პროცენტით, სესხები ეროვნულ ვალუტაში - 200 პროცენტით, სესხები უცხოურ ვალუტაში - 66,7 პროცენტით, მთლიანი დეპოზიტები - 31 პროცენტით, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში - 45 პროცენტით, დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში - 29 პროცენტით, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები კი 23,9 პროცენტით გაიზარდა.

ამასთან, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 5,4 პროცენტით გამყარდა. ინფლაციის მაჩვენებელმა 2004 წლის 7.5 პროცენტიდან 2005 წელს 6,2 პროცენტის დონემდე დაიწია. ასევე, დეპოზიტების დოლარიზაცია 2,7 პროცენტით შემცირდა.

24 საათი

"იმერეთის" აღდგენა ვერ ხერხდება

ქართველი ენერგეტიკოსები 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "იმერეთის" აღდგენას ვერ ახერხებენ. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლაიშვილმა განაცხადა, დიდთოვლობისა და ყინვების გამო ენერგეტიკოსები გადამცემ ხაზზე დაზიანების ადგილს, მეორე დღეა, ვერ პოულობენ.

"მობილიზებულია სპეციალისტთა ოთხი ჯგუფი. გადამცემი ხაზი ტყიბულის მიმდებარე ტერიტორიაზეა დაზიანებული, თუმცა დიდთოვლობის და ყინვის გამო, დაზიანების აღმოჩენა და ლიკვიდაცია ვერ ხერხდება," - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, გამოდარებისთანავე ენერგეტიკოსები დაზიანების ლიკვიდაციას შეუდგებიან. **"იმერეთის" დაზიანების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგება შეუფერხებლად ხორციელდება, რადგან ჩართულია ენერგობლოკები და ჰიდროელექტროსადგურები,"** - აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "იმერეთი" 17 იანვარს დაზიანდა.

ინტერპრესნიუსი

ყაზახებმა აჭარაში 21 სასტუმრო იყიდეს

ყაზახმა ინვესტორებმა აჭარაში 21 სასტუმრო იყიდეს, მათ შორის, "მედეა" და "მესხეთი".

სასტუმროების გაყიდვის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის და ყაზახური ბანკის წარმომადგენლის ერთობლივ ბრიფინგზე გახდა ცნობილი. ბრიფინგზე ლევან ვარშალომიძემ ის საკომპენსაციო თანხა დაასახელა, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს დაურიგებენ. ვარშალომიძის განცხადებით, კომპენსაციის სახით, დევნილები დაახლოებით 7000 დოლარს მიიღებენ, თუმცა თანხის რაოდენობა ზუსტად გადაწყვეტილი არ არის.

მას შემდეგ, რაც სასტუმრო "მედეას" გაყიდვის შესახებ გახდა ცნობილი, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია დაიწყო. დევნილები საკომპენსაციო თანხის ოდენობას აპროტესტებენ. მათი განცხადებით, 7000 ამერიკულ დოლარად ისინი საცხოვრებელი ბინების შეძენას ვერ შეძლებენ.

აქციის მონაწილეები აფხაზეთის მთავრობის მეთაურთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრას ითხოვდნენ, რათა მან დევნილებს საქართველოს პრეზიდენტთან უშუამდგომლოს.

ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა თანხა გადაიხადეს 21 სასტუმროში ყაზახმა ინვესტორებმა.

ინტერპრესნიუსი

"ინდუსტრიას" გაყიდვის მორიგი მცდელობა

დღეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შპს "ინდუსტრიას" გაყიდვის მორიგი მცდელობა შედგება. 3 მილიონ დოლარად შეფასებული "ინდუსტრიას" ქონების აუქციონზე გატანა 18 საათზე იგეგმება.

"ინდუსტრიას" 100-პროცენტიანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. მის ქონებას წარმოადგენს მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი, რომელიც ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩაზეა განლაგებული.

"ინდუსტრიას" საქმიანობის სფერო სამრეწველო და სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა. მისი საწესდებო კაპიტალი 10 526 230 ლარს, დებიტორული დავალიანება 4 154 986 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 1 369 092 ლარს შეადგენს.

აღნიშნული ობიექტის ყიდვის მსურველებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადების შეტანის ვადა 20 იანვარს, 17 საათზე ეწურებათ. მათ ბეს სახით 300 000 დოლარის გადახდა ეკისრებათ.

ჯი-ეიჩ-ენი

დახოცილ ქათმებს გრიპი არ აღმოაჩნდა

ქუთაისში გუშინ დახოცილი ქათმების ლაბორატორიული გამოკვლევით გაირკვა, რომ მათი სიკვდილის მიზეზი ფრინველის გრიპის ვირუსი არ ყოფილა. როგორც ქუთაისში ვირუსის პრევენციისათვის შექმნილი შტაბის ხელმძღვანელმა გაგა ოსაშვილმა განაცხადა, სამი ქათმის სიკვდილი დაავადება პასტერილოზმა, იგივე ქოლერამ გამოიწვია.

"მოსახლეობა უსაფუძვლოდ არის შეშინებული. როდესაც 30 ქათმიდან მხოლოდ სამი კვდება, ამის მიზეზი ფრინველის გრიპი არ იქნება, H5N1 ვირუსი შინაურ ფრინველს სრულად ანადგურებს. ამის მიუხედავად, დახოცილ ქათმებს ლაბორატორიული გაკვეთა მაინც ჩაუტარდა. ვთხოვ მოსახლეობას, ნებისმიერი დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში შეიძინონ ანტიბიოტიკები და ოჯახის პირობებში უმკურნალონ შინაურ ფრინველს," - განაცხადა ოსაშვილმა.

მედიანიუსი

"ოპიზას" თანამშრომლებს დაკითხავენ

დღეს გაიმართება საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" პარლამენტართა შესაძლო ბიზნესინტერესებზე იმსჯელებენ. როგორც საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ რუხაიამ განაცხადა, სხდომაზე "ოპიზას" თანამშრომელთა დაკითხვა გაგრძელდება. "კომისიას ახსნა-განმარტებებს მისცემენ "ოპიზას" ხელმძღვანელის მოადგილე და სხვა თანამდებობის პირები. ასევე, დაიკითხებიან საბაჟო ტერმინალის ყოფილი თანამშრომლები," - აღნიშნა რუხაიამ. რუხაიას თქმით, ხვალინდელ კომისიაზე დეპუტატი კობა ბექაური არ დაიკითხება.

მედიანიუსი

ქართული მხარე ფარ-ხმალს არ ყრის

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სახელმწიფო მინისტრი და აშშ-ს ელჩი ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ.

მთელი რიგი მიზეზებით, თბილისი საუკეთესო ადგილია. ვაგრძელებთ თანამშრომლობას როგორც საქართველოში რუსეთის საელჩოსთან, ისე ჩვენს კოლეგებთან რუსეთში. ვფიქრობთ, შევძლებთ მათ დარწმუნებას იმაში, რომ ეს სხდომა თბილისში უნდა ჩატარდეს," - აცხადებს ხაინდრავა. იგი მიიჩნევს, რომ ამ შეხვედრაზე უნდა გაირკვეს, თუ რატომ ხდება ყველა მხარისაგან მხარდაჭერილი სამშვიდობო პროცესის შეფერხება.

რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრისა და აშშ-ს ელჩის შეხვედრას, ისინი ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი, როგორც ხაინდრავამ განაცხადა, ამერიკელი დიპლომატისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების გაცნობა იყო. მისივე თქმით, სამშვიდობო პროცესებში აშშ-ს როლი მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანია. ამიტომაც, ის ქართულ მხარეს სერიოზულ კონსულტაციებს გაუწევს. **"თუმცა, მივიჩნევთ, რომ კონფლიქტების საკითხები, უპირველესად, ქართულმა და აფხაზურმა, ქართულმა და ოსურმა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ. დანარჩენ ძალებს კი ამ პროცესში თანამონაწილეობა შეუძლიათ,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ამ თვალსაზრისით რეგიონში მიმდინარე პროცესებში ეუთოს როლის გაზრდაც მნიშვნელოვანია. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტთან დაკავშირებულ პრობლემებს ხაინდრავა ეუთო-ში აშშ-ს ელჩს ჯული ფინლის გააცნობს, რომელიც თბილისში ავსტრიიდან დღეს დილით ჩამოვა.

საქართველოს მთავრობა დიპლომატიურ კორპუსს დახმარებას სთხოვს

ალბათობა იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს კიდევ ერთხელ დაეხმარებოდნენ, მას შემდეგ გაჩნდა, რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ტელევიზიით გვამცნო იმ ტრაგიკულ შედეგებზე, რაც "ფრინველის გრიპის" გავრცელების შემთხვევაში გველის.

თამარ მაისურაძე

მართალია, "ფრინველის გრიპით" დაავადების შემთხვევა საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა, თუმცა, ჩვენი ხელისუფლება პერმანენტულად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე "ფრინველის გრიპის" გავრცელების წინააღმდეგ არის მიმართული. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ გამართული შეხვედრა, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხებზე მოამუშავე სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით მოეწყო, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვებასაც ისახავდა მიზნად. კანცელარიაში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, ევროკავშირისა და უცხოური დონორი ორგანიზაციების წევრებიც იყვნენ შეკრებილნი. შეხვედრაზე განიხილეს მთავრობის გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს, კონკრეტულად რა დახმარება სჭირდება საქართველოს და რა სახის დახმარების აღმოჩენა შეუძლია ევროკავშირსა და სხვა დონორ ქვეყნებს "ფრინველის გრიპის" თავიდან ასაცილებლად. **"ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და დახმარება ამ საქმეში. მით უმეტეს, ეფექტურად დავიწყეთ ბრძოლა გრიპის გავრცელების წინააღმდეგ, რაც მსოფლიოს მასშტაბით აღიარებულია. გვინდა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ევროკავშირმა და სხვა დონორმა ორგანიზაციებმა საქართველოს ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება გაუწიონ. საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა. იგი 15 მლნ დოლარს საჭიროებს. აღნიშნული თანხის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარება, თუმცა გამორიცხული არ არის დონორი ორგანიზაციების დახმარებაც,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის განცხადებით, მთავრობის გეგმის ერთ-ერთი კომპონენტის - ჯანდაცვის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭიროა 5 მილიონი დოლარი, სოფლის მეურნეობის სექტორის მოსამზადებლად კი - 3 მილიონი დოლარი. პროგრამაში დათვალისწინებული მესამე კომპონენტი, რომელიც ფრინველის გრიპის გავრცელების შემთხვევაში დაავადებული ფრინველის ვაქცინაციას ან მათი განადგურების შემთხვევაში შესაბამისი კომპენსაციის გაცემას გულისხმობს, საჭიროებს 7 მილიონ დოლარს. ეს ღონისძიებები, საერთო ჯამში, 15 მილიონ დოლარს მოიცავს. **"თუ დონორი ორგანიზაციების მხრიდან დახმარების პროცედურა გაჭიანურდა, ხელისუფლება საჭირო თანხას ბიუჯეტიდან ან სხვა სარეზერვო ფონდებიდან გაიღებს. შემდეგ კი ეს თანხა მსოფლიო ბანკის დახმარებით დაიფარება,"** - აღნიშნა მან.

საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა კი, თავის მხრივ, დადებითად შეაფასა ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები. გაირკვა, რომ საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს იტალიის საელჩო საქართველოში. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს, პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, დახმარება იტალიამაც გაუწიოს.

ოფიციალური შეხვედრის შემდეგ მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ვაშლიჯვარში მდებარე კვლევითი ლაბორატორია დაათვალიერეს, სადაც დახოცილი ფრინველის ლაბორატორიული შემოწმება ხდება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოინახულეს.

დიპლომატიურ კორპუსს უახლოეს დღეებში გადაეცემა ჩვენი მთავრობის მიერ დეტალურად გაწერილი გეგმა, სადაც აღწერილი იქნება, კონკრეტულად რა დახმარებას საჭიროებს საქართველო. დიპლომატიური კორპუსი საქართველოსთვის საჭირო საერთაშორისო დახმარებებს ამ დეტალური გეგმის გაცნობის შემდეგ განიხილავს.

ქუთაისის გადამხდელთა სამმართველოს უფროსს პროკურატურაში უხივიან

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ასოციაცია "საჩინომ", ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა სამმართველოს უფროსის ნუგზარ ძოწენიძის თანამდებობრივი და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნით, ფინანსთა მინისტრსა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას მიმართა. "საჩინოს" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ხურციძე ძოწენიძის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე საუბრობს და, შესაბამისად, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით მოითხოვს.

"ჩვენს ასოციაციაში რამდენიმე მოქალაქე მოვიდა თხოვნით, სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე. კერძოდ, საქმე ეხებოდა უძრავი ქონების გასხვისებისას 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის უკანონოდ გადახდევინების ფაქტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა სამმართველოს უფროსის ნუგზარ ძოწენიძის მხრიდან მთელი გასული წლის განმავლობაში და რითაც მოქალაქეებს მიადგათ მატერიალური ზარალი," - აცხადებს ასოციაცია "საჩინოს" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ხურციძე "24 საათთან" საუბარში.

რამდენიმე ათეულ ადამიანთან ერთად, აღნიშნული პრობლემით ასოციაცია "საჩინოს" მოქალაქე როლინა ასათიანმაც მიმართა, რომელმაც მისი კუთვნილი ბინა 2005 წლის 5 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა 9000 ლარად. აღნიშნული ბინა ასათიანმა 1999 წლის 29 იანვარს მიიღო საკუთრებაში და მისი რეგისტრაცია იმავე წლის 8 თებერვალს მოახდინა ქუთაისის ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ინვენტარიზაციის ბიუროში.

"ბინის გასხვისების დროს როლინა ასათიანს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა, გადამახდევინა სამმართველოს უფროსის ნუგზარ ძოწენიძის დაჟინებული მოთხოვნით, გადაახდევინეს ქონების ღირებულების 12 პროცენტი, 1080 ლარი. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ასობით მოქალაქე. საქმე ის გახლავთ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, უძრავი ქონება რეალიზაციის დროს ფასთა ნამატის 12 პროცენტით იმ შემთხვევაში იბეგრება, თუკი ქონება ბოლო ორი წლის განმავლობაში მეორედ სხვისდება. საკითხის გასარკვევად წერილობით მივმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, რათა განემარტათ, თუ რის საფუძველზე ახდევინებდნენ მოქალაქეებს 12 პროცენტიან საშემოსავლო გადასახადს შაშინ, როცა უძრავი ქონება მოქალაქეებს რეგისტრირებული ჰქონდათ ქუთაისის ტექნიკური აღრიცხვის ინვენტარიზაციის ბიუროში 1998-2002 წლებში და მისი გასხვისება ხდებოდა პირველად," - აცხადებს ზურაბ ხურციძე.

ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა სამმართველოს უფროსმა მოამზადა პასუხი და განმარტა: **"1999 წლის დასაწყისიდან უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის სავალდებულო გახდა რეგისტრაციის, მათ შორის პირველი რეგისტრაციის განორციელება. მხოლოდ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში არსებულ საჯარო რეესტრში და ქუთაისის ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ინვენტარიზაციის ბიუროში რეგისტრაციით მოქალაქეს არ წარმოშობია საკუთრების უფლება".**

საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილემ ძოწენიძის მიერ მომზადებულ წერილს ხელი არ მოაწერა და იგი განსახილველად საგადასახადო ინსპექციის იურიდიულ სამმართველოს დაუწერა.

"იურიდიულმა სამმართველომ განსხვავებული პასუხი მოამზადა, რომლის მიხედვითაც, ჩვენ მიერ დასახელებულ კონკრეტულ მაგალითებში მოქალაქეები თავისუფლდებოდნენ საშემოსავლო გადასახადიდან." - განმარტავს ასოციაცია "საჩინოს" აღმასრულებელი დირექტორი.

ასოციაციის მიერ წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა სამმართველოს უფროსი ნუგზარ ძოწენიძე.

"ჩემთვის უცნობია ის ფაქტები, რაზეც ზურაბ ხურციძე საუბრობს. მე კარგად ვიცი, რაში დასჭირდა ბატონ ზურაბს ასეთი აბსურდული ბრალდებები, მაგრამ კარგი იქნება, თუკი ამას საზოგადოებაც გაიგებს. ჩვენ შევისწავლით ყველა ამ ფაქტს და თუკი რომელიმე მოქალაქეს რაიმე ზედმეტად აქვს გადახდილი, ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია მზადაა, უკან დაუბრუნოს თითოეული თეთრი ასეთ მოქალაქეებს," - აცხადებს ნუგზარ ძოწენიძე.

ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა სამმართველოს უფროსის მიმართ მოქალაქეების პრეტენზიებს ფინანსთა სამინისტრო და პროკურატურა განიხილავს.

მოკლედ

აფხაზებმა ქართული სოფლები დააწიოკეს

გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებიდან, ნაბაკევიდან და გაგიდადან აფხაზურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ თოთხმეტი ადამიანი გაიტაცა. ისინი გალის მილიციაში გადაიყვანეს, სადაც სასტიკად სცემეს. აღნიშნულმა აფხაზურმა დაჯგუფებამ ორივე სოფელი ალყაში მოაქცია და ოჯახებში ძალლებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე შედიოდნენ. აფხაზებს წინააღმდეგობა ეფხენიების ოჯახმა მას შემდეგ გაუწია, როცა სეპარატისტებს მათი 19 წლის შვილი სახლიდან გაჰყავდათ. წინააღმდეგობის გაწევის გამო ოჯახის ყველა წევრს სასტიკად სცემეს. ისინი სოხუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზების რეიდში რუსეთის სამშვიდობო ძალებიც მონაწილეობდნენ. როგორც ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, მას აღნიშნული ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. **მედიანიუსი**

გელა ბეჟუაშვილი ევროკავშირის ელჩებს შეხვდა

საქართველოში გერმანიის ელჩის უვე შრამის ინიციატივით, საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილისა და საქართველოში აკრედიტებული, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩების მონაწილეობით სადილი გაიმართა. მას ესწრებოდნენ ბულგარეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ლიტვის, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. შეხვედრის დროს გელა ბეჟუაშვილმა ელჩებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებები გააცნო; ის ელჩებს კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზეც ესაუბრა. ამ მხრივ მთავარ საკითხად კონფლიქტების მოგვარების პროცესში ევროკავშირის როლის გაზრდა დასახელდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ელჩების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა. გადაწყდა, რომ ამგვარი შეხვედრები მომავალშიც რეგულარულად ჩატარდება. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებს უმოქმედობაში ადანაშაულებს. მისი თქმით, სამშვიდობო პროცესი ჩიხშია შესული. "სამშვიდობო ძალები თავიანთი მანდატის სარეალიზაციოდ აბსოლუტურად უმოქმედონი არიან. ეს ყველაფერი მეტად მკაფიოა. სამწუხაროდ, ყველასთვის ნათელია, რომ სამშვიდობო პროცესი, ყველა ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, პრაქტიკულად, ჩიხშია შესული," - აცხადებს პრემიერ-მინისტრი. მისი თქმით, კონფლიქტის ზონაში ამჟამადაც არის უკანონო შეიარაღება, რაც რუსი სამშვიდობოების მიერ მანდატით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას ადასტურებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

ჭიათურა. ჭიათურა-ზესტაფონის გზის მონაკვეთზე, საავტომობილო მოძრაობა ცალმხრივად არის აღდგენილი. ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურთან, დიდთოვლობის მიზეზით, გზა 17 იანვარს ჩაიხერგა. ამის გამო რამდენიმე ავტომობილი გზის ამ მონაკვეთზე ერთი დღე-ღამის განმავლობაში იყო გაჩერებული. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი წერეთელმა განაცხადა, ჭიათურა-ზესტაფონის მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, სავარაუდოდ, დღეს, შუადღისთვის გახდება შესაძლებელი. აქ ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით არის დაშვებული. მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით მოძრაობა ნებადართულია, აგრეთვე, ჯვრის საუღელტეხილო გზის ფასანაური-ლარსის მონაკვეთზე. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა კი აკრძალულია. რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ყველა ტიპის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე კი მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით არის ნებადართული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა აფხაზეთში მცხოვრებ ხელმოკლე და სოციალურად დაუცველ 8 000 მოქალაქეს 400 ტონა პროდუქტი დაურიგა. სურსათით დახმარების პროგრამა აფხაზეთში საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის სოხუმის ოფისმა განახორციელა. კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით აფხაზეთში 12 სასადილო ფუნქციონირებს. სასადილოების მომსახურებით 2 ათასამდე ბენეფიციანტი სარგებლობს. 1 116 ბენეფიციანტისთვის კი, რომლებსაც გადაადგილების პრობლემა აქვთ, ცხელი სადილი სახლში მიაქვთ. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტისგან სასურსათო დახმარება უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში 2 396-მა მოქალაქემ მიიღო. 2005 წელს კომიტეტმა 1 395 პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებში, საერთო ჯამში, დახმარება 4 585-მა მოქალაქემ მიიღო. მოსახლეობის სასურსათო პროგრამის უზრუნველყოფის გარდა, საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა სოხუმის, აგუძერისა და ტყვარჩელის საავადმყოფოები ტკივილგამაყუჩებელი და ანესთეზიური მედიკამენტებით უზრუნველყო. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ევროპის გზაზე გაყინული რუსული გაზი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ენერგეტიკული მონსტრი გლობალური მონოპოლიისკენ მიილტვის.

უკრაინის სახელმწიფო ნავთობკომპანია "ნაფტოგაზის" ყოფილი ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ გაზის დეფიციტი, რომელსაც ევროპული ქვეყნები განიცდიან, რუსულ-უკრაინული დავის პირდაპირი შედეგია.

თავად "გაზპრომში" აცხადებენ, რომ ისინი შიდა და ევროპელი კონტრაქტორების წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას ასრულებენ. აი, რას ამბობენ კომპანიაში: **"რუსი მომხმარებლებისთვის გაზის მიწოდება, გეგმასთან შედარებით, 40 პროცენტით გაიზარდა. ევროპელი მომხმარებლები კი კონტრაქტში გათვალისწინებულზე 7 პროცენტით მეტი მოცულობის გაზს ღებულობენ."** "გაზპრომში" აღნიშნავენ, რომ მათი წარმოების, შენახვის და განაწილების მექანიზმები მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს.

ამასთან, "გაზპრომში" ოფიციალურად არ საუბრობენ ევროპისთვის გაზის მიწოდების შეზღუდვების შესახებ. თუმცა, გაზეთ "T"-თან დაახლოებულმა ინფორმირებულმა წყაროებმა დაადასტურეს, რომ რიგი კონტრაქტორები ნორმაზე ნაკლებ გაზს იღებენ.

უკრაინის განცხადებით, მან სიცივეების პერიოდში ტრანზიტული მილსადენიდან დამატებითი გაზის მიღებასთან დაკავშირებით რუსეთთან შეთანხმებას მიაღწია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყინვებმა რუსული ნავთობის ექსპორტი დღეში 100-200 ათასი ბარელით შეამცირა. შედეგად, "შავი ოქროს" ფასი ბარელზე 66 დოლარამდე გაიზარდა. ბირჟის მაკლერები შიშობენ, რომ შექმნილ სიტუაციაში ნავთობის წამყვან ექსპორტიორ ქვეყანას - ირანს შეუძლია, ნავთობი თავისი ბირთვული ამბიციების დაკმაყოფილების იარაღად გამოიყენოს.

გილაურმა გამოცდა "ხუთიანზე" ჩააბარა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

და ეს ხდება იმ პირობებში, როცა რუსეთი, პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე, ენერგეტიკულ ზეწოლას აგრძელებს," - კმაყოფილებას ვერ მალავდა მიხეილ სააკაშვილი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევაა. მისივე თქმით, საქართველო მხოლოდ რუსულ გაზზე და ელექტროენერგიაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. სააკაშვილმა ხელისუფლებას ენერგიის ალტერნატიული საშუალებების მოძიებისკენ მოუწოდა.

"რუსული გაზი საქართველოსთვის პრობლემატური და არაპროგნოზირებადია, ამიტომ ენერგორესურსების ალტერნატიული საშუალებების მოსაპოვებლად ხელისუფლებამ მეზობელ ქვეყნებთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს," - აცხადებდა სააკაშვილი. მისივე თქმით, რუსეთის მიერ საქართველოსათვის გაზის ტარიფის გაძვირება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. **"რუსეთმა იცის, რომ საქართველოს გაზის მიღების ალტერნატიული გზები გააჩნია, ამიტომაც შეჩერდა აღნიშნულ ფასზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი უალტერნატივოდ დარჩენილ საქართველოს გაზს თუნდაც 300 დოლარად მიჰყიდდა,"** - დასძინა პრეზიდენტმა.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურიც საუბრობდა. ამ უკანასკნელის ინფორმაციით, ენერგეტიკულ სისტემაში წლის განმავლობაში ხუთჯერ შემცირდა ავარიების რაოდენობა, საქართველოს ენერგომომარაგება 1400 მეგავატიდან 1700-მდე გაიზარდა. ასევე, შარშან დაფიქსირებული 1 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის სამომხმარებლო რაოდენობამ 2,2 მლრდ კუბური მეტრი შეადგინა.

პრეზიდენტმა ყურადღება ენერგოსექტორში დაგეგმილ პრივატიზაციაზეც გაამახვილა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ენერგოსექტორში სერიოზული ინვესტორები შემოვლენ, **"რომლებიც ამ სფეროში რეალურ ფულს დააბანდებენ."**

მესაკუთრე ის გახდება, ვინც მეტს გადაიხდის?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბუნებრივია, ეს ფაქტორი უცხოელი ინვესტორის ინტერესს გასაყიდი ობიექტის მიმართ ორმაგად ზრდის, რადგანაც მან კარგად იცის, რომ საქართველოში ინვესტიციას პერსპექტიულ დარგში აბანდებს. სწორედ ამიტომ, განხორციელებული კაპიტალდაბანდება მას მოკლე დროში მოგებას მოუტანს. ალბათ, ამით აიხსნება უცხოური კომპანიების ბიზნესინტერესები ამ დარგის მიმართ.

მოქმედი კანონმდებლობით, უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის (დაბრუნება) უფლება აქვს. სწორედ ეს საკითხი იწვევს ექსპერტთა შორის დავას, რაც პრივატიზაციის პროცესში აქტუალური გახდა. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობაში ჩადებული ეს ნორმა სამართლიანია და სწორედ ეს ხდის მიმზიდველს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებას. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მიღებული მოგების ქვეყნიდან შეუზღუდავი გატანა უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგანაც მისი რეინვესტირება (წარმოებაში ჩადება) იშვიათად ხდება. ბუნებრივია, ეს წარმოების განვითარებას აფერხებს. ამ მოსაზრების უტყუარობას ექსპერტები იმით ადასტურებენ, რომ ადგილობრივი წარმოების განვითარებას დღემდე, ძირითადად, ქართველი მეწარმეები ცდილობენ. ისინი მიღებულ მოგებას ახალი საწარმოების შესაქმნელად ან არსებულის გაფართოებისათვის იყენებენ.

ასეთ სიტუაციაში ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი მეწარმეები პრივატიზაციის პროცესში უნდა გააქტიურდნენ, მით უმეტეს - მაშინ, როცა საქმე პერსპექტიული დარგების ობიექტების პრივატიზებას ეხება.

ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის დროს, 2004 წლის გაზაფხულზე, ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ქვეყანაში ფინანსური დისციპლინის დამყარება, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და სწრაფი პრივატიზაცია. "პრივატიზაციის პროცესში უპირატესობა მას მიენიჭება, ვინც უფრო ბევრს გადაიხდის. ჩვენ სერიოზული ინვესტორების იმედი გვაქვს," - ამბობდა იგი და რამდენიმე დღის წინ, ამ საკითხზე საუბრისას, ახლა უკვე პრემიერ-მინისტრმა ნოღაიდელმა იგივე სიტყვები გაიმეორა.

ექსპერტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს, როცა ობიექტს იმ მესაკუთრეზე ყიდის, ვინც მეტს იხდის. მნიშვნელობა არა აქვს, მყიდველი საქართველოს მოქალაქე იქნება თუ უცხოელი. აშკარაა, რომ ამით ხელისუფლება ფისკალური პრობლემების მოგვარებას ცდილობდა (და ცდილობს), ანუ პრივატიზებიდან მიღებული თანხებით გასულ წელს საბიუჯეტო შემოსავლები გაზარდა, რაც ერთჯერადი ღონისძიებაა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას არ გამოადგა.

არსებობს თუ არა არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი?

ექსპერტები და ადგილობრივი მეწარმეები "24 საათთან" საუბრისას აცხადებენ, რომ გამოსავალი არსებობს. გასაყიდი ობიექტის ფასი ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ძირითადი თანხა საწარმოს ინვესტირებას უნდა მოხმარდეს, რაც ნიშნავს იმას, რომ ყურადღება ობიექტის რეკონსტრუქციისთვის გათვალისწინებული კაპიტალის მოცულობაზე უნდა გამახვილდეს და არა გამოსასყიდ (ბიუჯეტში შესატან) თანხაზე. ინვესტირების მოძიებაში კი ადგილობრივ მეწარმეებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უნდა დაეხმაროს, რომელიც ევროპაში სწორედ ამ მიზნით დაფუძნდა. საქართველოშიც ამ ბანკის მოღვაწეობის ძირითადი ფუნქცია ადგილობრივი მეწარმეებისთვის სესხის გაცემაა საწარმოს ინვესტირების მიზნით.

გაზეთი "24 საათი" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ნიკოლაი ჰაჯისკის ესაუბრა.

- თუ გასცემს ბანკი სესხს ადგილობრივი მსხვილი კომპანიისთვის იმ შემთხვევაში, როცა მას ინვესტიცია საწარმოს რეკონსტრუქციისთვის სჭირდება? ანუ ადგილობრივ მსხვილ კომპანიას აქვს საწარმოს გამოსასყიდი თანხა, მაგრამ რეკონსტრუქციისთვის კაპიტალი სჭირდება და ამ კაპიტალის გარანტორად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ხდება.

- EBRD-ს ძალიან ფართო გამოცდილება აქვს პრივატიზაციის საქმეში და შეუძლია, სესხითა და ფიქსირებული დივიდენდების გარეშე, აქციებით უზრუნველყოს მსურველები პრივატიზაციის და პოსტ-პრივატიზაციის ინვესტიციებისთვის.

- დღემდე ასეთი სახის სესხის მოთხოვნის პრეცედენტები თუ არსებობს და დააკმაყოფილა თუ არა ბანკმა ასეთი წინადადებები?

- საქართველოში - ჯერ არა. თუმცა, ჩვენ ზოგიერთი საწარმოსთვის პოსტსაპრივატიზაციო დაფინანსება გაგვიწევია.

- თუ ბანკი ასეთ მომსახურებას არ ეწევა, რა არის ამის მიზეზი?

- *EBRD*-ი მზადაა, მსგავსი წინადადებები განიხილოს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

პაკისტანი გასული კვირის იერიშის შესახებ

როგორც პაკისტანის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები იუწყებიან, გასულ კვირას პაკისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ, დამადოლაში განხორციელებული სარაკეტო იერიშის შედეგად დაღუპულებში "ალ კაიდას" 4 წევრი ამოიცნეს. ამავე წყაროს ცნობით, იერიში ამერიკელებმა მიიტანეს. თუმცა, თავად ამერიკელი სამხედროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. 20 000-მდე ამერიკელი სამხედრო ავღანეთშია დისლოცირებული და მათ პაკისტანი საზღვრის გადაკვეთის ნებას არ აძლევს. აშშ-ს მედია ვარაუდობს, რომ იერიში ცენტრალური დაზვერვის განყოფილების ნამოქმედარი იყო. ასეა თუ ისე, თავდასხმა დაგმო ოფიციალურმა ისლამაბადმა და საპასუხოდ პაკისტანში აშშ-ს ელჩს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.

პაკისტანის ხელისუფლებამ ტერორისტების ამოცნობა სადაზვერვო სამსახურის ხელშეწყობით შეძლო. ამერიკელი ოფიციალური პირნი კი, რომლებმაც ანონიმად დარჩენა ისურვეს, მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ისინი არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას დაღუპულთა ვინაობის შესახებ.

"არსებობენ პირები, რომელთა ყოფნასაც ვისურვებდით დაღუპულთა ადგილზე," - აცხადებენ ამერიკელი მაღალჩინოსნები.

სარაკეტო იერიში, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების თანახმად, ავიაგამანადგურებლით ან Predator-ის ტიპის უპილოტო აპარატით განხორციელდა. ადგილობრივი მოსახლეობა კი დარწმუნებულია, რომ იერიშის მიტანა მხოლოდ ამერიკელებს შეეძლოთ.

ტერორისტებიდან ერთ-ერთი ასაფეთქებელი ნივთიერებების ექსპერტი მიდჰატ მურსია, რომელზეც ჯილდოდ დაწესებული იყო 5 მილიონი აშშ დოლარი.

ჯერჯერობით დაუდასტურებელი ცნობებით, მოკლულია ასევე ნომერ მეორე ტერორისტის აიმან ზავაჰირის სიძე, რომელიც ასევე ერთ-ერთ გავლენიან პირად ითვლებოდა ტერორისტულ ორგანიზაციაში.

იერიშს, ტერორისტების გარდა, 18 ადგილობრივი მცხოვრებიც შეეწირა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად დაზარალდა ავღანეთის საზღვართან არსებული სოფლიც.

რაც შეეხება თავად აიმან ზავაჰირის - "ალ კაიდას" იდეოლოგიურ ლიდერს, რომლის დაღუპვის შესახებაც პერიოდულად ვრცელდება ხოლმე დაუდასტურებელი ინფორმაცია - მისი გამოვლენისთვის ძალაში რჩება ჯილდო 25 მილიონი აშშ დოლარი. ავღანეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობებით, ზავაჰირი კვლავ ცოცხალი და უვნებელია. ამავე ინფორმაციას ადასტურებენ პაკისტანური წყაროებიც.

თურქმენეთი თანამეგობრობას ტოვებს

თურქმენეთი დსთ-დან ოფიციალურად გადის. თურქმენეთის პრეზიდენტი, საფარმურატ ნიაზოვი, თანამეგობრობის ქვეყნებიდან თურქმენეთის გასვლას დოკუმენტურად აფორმებს.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ "მთავარი წინააღმდეგობა დსთ-ში თურქმენეთისთვის არის ის, რომ ამ ქვეყანას ნეიტრალური სტატუსი აქვს, რომელიც საშუალებას არ აძლევს, მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ბლოკებში და აწარმოოს ომი".

თურქმენეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ხუდაიბერდი ორაზოვის აზრით, რეალური მიზეზები სხვაა. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს მოუწოდა, მიიღონ დეკლარაცია ჰუმანიტარულ თანამშრომლობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციის განვითარებას ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სხვა სფეროებში. დსთ-ს უკანასკნელ სამიტზე ამ შეთანხმებას, თურქმენეთის გარდა, დსთ-ს წევრმა ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი.

"სწორედ ესაა დსთ-დან თურქმენეთის გასვლის ძირითადი მიზეზი," - აღნიშნა ორაზოვმა

"თურქმენეთის მაგალითი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს და დაიწყოს დსთ-ს ქვეყნების ამ გაერთიანებიდან გასვლა," - აღნიშნავენ ექსპერტები.

ცოტა ხნით ადრე თანამეგობრობიდან გასვლის სურვილი საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ გამოთქვეს. მათი პრიორიტეტი ნატო-სა და ევროკავშირში გაერთიანებაა.

ჯი ეიჩ ენი

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო მთავრობის გადაყენების საკითხს განიხილავს

როგორც უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, ვიქტორ იუშჩენკომ საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით მიმართა, იური ეხანუროვის მთავრობის გადაყენების შესახებ პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილოს. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა ამჟამად ბლოკირებულია, რადგან უზენაესი რადა უკვე დანიშნულ მოსამართლეებს ფიცს არ ადებინებს. გარდა ამისა, პარლამენტს მისგან წამოყენებულ მოსამართლეთა კანდიდატურებისთვის კენჭი დღემდე არ უყრია. უკრაინის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილს პრეზიდენტი, ნაწილს პარლამენტი და უკრაინის მოსამართლეთა კოლეგია ნიშნავს. უკრაინის პრემიერ-მინისტრ იური ეხანუროვის კაბინეტი უზენაესმა რადამ 10 იანვარის დადგენილებით გადააყენა. რამდენიმე დღის წინ იუშჩენკომ პარლამენტს "არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების" გაუქმება მოსთხოვა. თუმცა, უზენაესი რადას მხრიდან ამას რეაქცია არ მოჰყოლია. **ინტერპრესნიუსი**

ძალმომრეობის ახალი ტალღა ერაყში

ბაღდადიდან ჩრდილოეთით, აჯანყებულებმა მოძრავი ბლოკ-საგუშაგო დაიკავეს და დაახლოებით 30 ადამიანი მოკლეს. ამავდროულად, ბოევიკებმა ერაყის დედაქალაქში ბადრაგზე მიიტანეს იერიში. შეტაკებაში 6 მებელი და 3 მძღოლი დაიღუპა. თავდამსხმელებმა ეგვიპტის სატელეკომუნიკაციო კომპანიის ორი ინჟინერი - კენიის მოქალაქეები - მძევლად აიყვანეს. ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქ ბასრაში გზაზე დამონტაჟებული ნაღმის აფეთქებისას ორი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. კიდევ 10-ზე მეტი ერაყელი დაიღუპა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აჯანყებულთა მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად.

საფრანგეთი მზადაა, ტერორისტებს ბირთვული იარაღით უპასუხოს

საფრანგეთი მზად იქნება, წერტილოვანი ბირთვული დარტყმა მიაყენოს ნებისმიერ ქვეყანას, ან ძალას, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე ტერაქტს განახორციელებს, - ამბობს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი. **"პასუხი (ტერაქტზე) შეიძლება იყოს ტრადიციული, თუმცა, შესაძლოა, სრულიად სხვაგვარიც აღმოჩნდეს,"** - აღნიშნა ჟაკ შირაკმა. საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ქვეყნის ატომური წყალქვეშა ფლოტის ბაზაზე ვიზიტის დროს. მისი თქმით, იმ სახელმწიფოთა ლიდერებს, რომლებიც საფრანგეთის წინააღმდეგ ტერორისტულ საშუალებებს გამოიყენებენ, ასევე მათ, ვინც ამ (ტერორისტული) საშუალებების, ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზე იფიქრებენ, უნდა ესმოდეთ, რომ საფრანგეთის მხრიდან შესაბამის მკაცრ პასუხს მიიღებენ. **როიტერსი**

სტრატეგიული მარაგები "დიდი გამყინვარების" წინააღმდეგ

რუსეთმა დიდი ყინვების გამო, შესაძლოა, საწვავის სტრატეგიული მარაგი გახსნას. როგორც რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელმა, ვიქტორ ხრისტენკომ განაცხადა, მთავრობის სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილება უკვე მომზადდა და მას პრემიერ-მინისტრ მიხაილ ფრადკოვს წარუდგენენ. რუსი მინისტრის თქმით, ანომალიურად დაბალი ტემპერატურის გამო, ამჟამად გაზის მაქსიმალური მოცულობის ამოღება მიმდინარეობს საცავებიდან და ჭაბურღილებიდან. "იგეგმება მაზუთისა და ნახშირის სარეზერვო მარაგების გამოყენებაც," - განაცხადა ხრისტენკომ. როგორც მან აღნიშნა, ენერგეტიკაში მძიმე სიტუაციაა შექმნილი. "რუსეთის ენერგომოხმარება ყველაზე მაღალია ბოლო 15 წლის განმავლობაში," - განაცხადა მან და იქვე აღნიშნა, რომ მოსკოვის ზონას არასოდეს ჰქონია ასეთი დატვირთვა. ხრისტენკოს თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომხმარებლები, ენერგეტიკოსები და მთავრობა ურთიერთშეთანხმებულ ზომებს იღებენ. მიღებული ზომები სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისთვის ენერგომომარაგების შემცირებას არ ითვალისწინებს. **ჯი ეიჩ ენი**

კონსტიტუციის ამოქმედებამდე ევროკავშირის გაფართოება შეჩერდება

ევროკავშირის გაფართოების პროცესი უნდა შეჩერდეს, ვიდრე გაერთიანების 25-ივე წევრ-სახელმწიფოში ახალი კონსტიტუცია არ შევა ძალაში, - ამის შესახებ ნათქვამია ევროპარლამენტის მიერ გუშინ მიღებულ რეზოლუციაში. თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ შეეხება რუმინეთსა და ბულგარეთს, რომელთა მიღება ევროპულ სახლში მომავალ, ან უკიდურეს შემთხვევაში, 2008 წელს უნდა მოხდეს. ამის შემდეგ, როგორც ევროპარლამენტარებმა მიიჩნიეს, ვერც ერთი ახალი სახელმწიფო ვეღარ გახდება ევროკავშირის წევრი, ვიდრე დადებითად არ გადაწყდება კავშირის საერთო ძირითადი კანონის საკითხი. შეგახსენებთ, ევროკავშირის კონსტიტუციის ამოქმედების საკითხი ეჭვქვეშ მას შემდეგ დადგა, რაც გასულ წელს საკონსტიტუციო რეფერენდუმები ერთმანეთის მიყოლებით ჩავარდა საფრანგეთსა და ნიდერლანდებში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 13-მა ქვეყანამ (ანუ უმრავლესობამ) კონსტიტუციის რატიფიცირება უკვე მოახდინა, თუმცა, მისი ამოქმედებისთვის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო. **როიტერსი**

მოკლედ

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა დღეს შედგება

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, რომელიც ტრადიციულად ხუთშაბათობით იმართება, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით დღეისთვის გადაიდო. წინასწარი ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე გალის რაიონში არსებული მძიმე კრიმინოგენური ვითარების გარდა, ფრინველის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებაზე იმსჯელებენ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართველი სამხედრო დამკვირვებელის ვალერი ჯაფარიძის გაცხადებით, კონფლიქტის ზონაში ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. უცნობია, 13 იანვარს სოფელ თაგილონიდან გატაცებული, ვალერი გაბისონიას ადგილსამყოფელი. მისი თანამდებობისა და მოღვაწეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. გარდა გატაცებებისა, კონფლიქტის ზონაში, გასული კვირის განმავლობაში, შეიარაღებული თავდასხმების შედეგად მსხვერპლის რაოდენობაც გაიზარდა. ჯაფარიძის თქმით, ქართული მხარის მიერ მომზადებულ, უსაფრთხოების გარანტიების ჩასწორებულ პროექტზე, ჭუბურხინჯში არ იმსჯელებენ, ვინაიდან ეს საკითხი ხელისუფლების უფრო მაღალ საფეხურებზე წყდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

აფხაზური მილიცია ნაბაკევსა და გაგიდაში რეიდებს ატარებს

გალის რაიონის ორ სოფელში - ნაბაკევსა და გაგიდაში აფხაზური მილიციის რაზმები შევიდნენ. დაახლოებით 50-კაციანმა ჯგუფმა სოფლების გასასვლელები ჩაკეტა. აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა 14 ქართველი, ძირითადად, მამაკაცები, გალის მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მილიციელები ოფიციალურ განმარტებას არ იძლევიან, თუმცა, სავარაუდოდ, ქართველი ეროვნების მოქალაქეების დაკავების მიზეზი საპასპორტო რეჟიმის დარღვევა გახდა. 14-დაკავებულიდან გუშინვე ორი გაათავისუფლეს, რის სანაცვლოდაც მათ 500 დოლარი გადაახდევინეს. აფხაზური მილიციის რაზმებთან ერთად გალის რაიონის სოფლებში იმყოფებიან რუსეთის სამშვიდობო ძალების თანამშრომლები. **ინტერპრესნიუსი**

შალვა რამიშვილისა და კოხრეიძის სასამართლო ხვალ გაიმართება

ტელეკომპანია 202 -ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში დღეს 12 საათზე დაიწყება. დავით კოხრეიძის ძმის, გოგა კოხრეიძის განცხადებით, მისი ძმა 12-ადგილიან საკანში გადაიყვანეს, რომელშიც ამჟამად, 30 პატიმარი ჰყავთ შეყვანილი. მათ მორიგეობით სძინავთ. რაც შეეხება შალვა რამიშვილს. იგი კარცერიდან საკანში, ხანძრის შემდეგ, გადაიყვანეს. გოგა კოხრეიძის ინფორმაციით, ხვალინდელ სასამართლოზე უკვე საქმის არსებითი განხილვა დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგიას უახლოეს ხანებში ახალი მოსამართლეები დაემატება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგიას უახლოეს ხანებში ახალი მოსამართლეები დაემატება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის განცხადებით, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს მოსამართლეთა საშტატო ერთეულის 43-დან 65-მდე გაზრდა იგეგმება. მისი თქმით, მოსამართლეთა რიცხვის გაზრდის აუცილებლობა სასამართლოში არსებულმა საქმეთა სიმრავლემ გამოიწვია. მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად იურისტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირებას აბარებს. თუმცა ტესტირების გავლა მოსამართლის თანამდებობაზე ავტომატურ დანიშვნას არ ითვალისწინებს. სამოსამართლო კანდიდატი გასაუბრებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომისიასთან გადის, რის შემდეგაც იგი საქართველოს პრეზიდენტთან სამოსამართლო ფიცს დებს. მოსამართლე ხელმეორედ ფიცს არ დებს, თუ იგი ერთი ინსტანციიდან სამუშაოდ მეორე ინსტანციაში (გარდა უზენაესი სასამართლოსა) გადაყავთ. **ინტერპრესნიუსი**

"ხალვას" საქმის განხილვა მომავალი კვირიდან დაიწყება

"კანონიერი ქურდის" მურმან ტვილდიანის, მეტსახელად "ხალვას" საქმის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლო მომავალი კვირიდან დაიწყებს. საქართველოს გენერალურ პროკურატურის განცხადებით, ტვილდიანის პროცესი სავარაუდოდ, 23 იანვარს დაინიშნება. ტვილდიანს ბრალი ედება ადამიანის გატაცებასა და თანხის გამოძალვაში. მას დაემატება ახალი ბრალდება - სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა. ტვილდიანი ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებასა და ფულის გამოძალვისთვის წლების მანძილზე იძებნებოდა. აღნიშნულ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის საქართველოში სამი პირი უკვე გასამართლებულია. მურმან ტვილდიანი მოსკოვიდან თბილისში გუშინწინ ჩამოიყვანეს. იგი ამჟამად, თბილისის N7 საპყრობილეშია გადაყვანილი. **ინტერპრესნიუსი**

მკვლელობა წერეთლის გამზირზე

წერეთლის გამზირზე გუშინწინ, გვიან ღამით მოკლული 26 წლის ბონდო ჭუმბაძის მეუღლის დაკითხვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოში მთელი ღამის განმავლობაში წარმოებდა. წინასწარი მონაცემებით, მკვლელობა პირადი ანგარიშსწორების მოტივით მოხდა. 26 წლის ბონდო ჭუმბაძე რამდენიმე პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. თვითმხილველების განცხადებით, ჭუმბაძემ წერეთლის გამზირზე მეგობარი შინ მიაცილა, როცა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. სროლა რამდენიმე წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჭუმბაძე მიყენებული სასიკვდილო ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველები კომენტარს არ აკეთებენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

დააკავეს ტაქსის გამტაცებლები

გორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა წუხელ სოფელ ორთაშენთან თბილისიდან გატაცებული "მერსედესის" მარკის ტაქსი დაიკავეს. დაკავებულები არიან ტაქსის გამტაცებლები - თბილისში მცხოვრები 1981 წელს დაბადებული ვასილ კუხიანიძე და ასევე თბილისში მცხოვრები, 1981 წელს დაბადებული გიორგი ნაცვლიშვილი. ამ დროისათვის უკვე დადგენილია ტაქსის მეპატრონის ვინაობა, იგი თბილისელი გიორგი კაპანაძეა. როგორც გაირკვა, გიორგი კაპანაძე თავდამსხმელებმა თბილისის გასასვლელში ავტომანქანიდან გადააგდეს. ისინი გატაცებული ტაქსის რეალიზებას ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გეგმავდნენ. დაკავებულები ამჟამად გორის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. **ინტერპრესნიუსი**

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება 21 იანვარს ჩატარდება. ასოციაციის თავმჯდომარის კახა ასლანიკაშვილის განცხადებით, კრებაზე ასოციაციის წესდების პროექტი უნდა დამტკიცდეს. ასევე, კენჭი ეყრება ასოციაციის მმართველი ორგანოების აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების წევრებს. ამ ორგანოების არჩევითა და წესდების დამტკიცებით ასოციაციის ჩამოყალიბება საბოლოოდ დასრულდება. ასოციაციის დამფუძნებელი კრება 2005 წლის 26 თებერვალს გაიმართა. თუმცა, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზებისა და ადვოკატებს შორის დაპირისპირების გამო, ასოციაციის საბოლოო ფორმირება დღემდე ვერ მოხერხდა. ადვოკატთა ასოაციაციის შექმნასთან დაკავშირებით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ოფისში დღეს პრესკონფერენცია გაიმართება. **მედიანიუსი**

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თქვენ ისევ სჯობდებით ძველებს

"უმაუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უშასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები **კერძო ბიზნესის** წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და **არასამთავრობო ორგანიზაციების** უშუალო საჭიროებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს ფონდი ხელს შეუწყობს ბრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი) და **ESM თბილისი**(მართვის ევროპული სკოლა).

სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე

დაინტერესებულმა კირებმა უნდა წარმოადგინონ CV (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III

საბუთების მიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16

ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgf.ge

"Human Rights Watch"-ის კრიტიკის მთავარი სამიზნე ამერიკაა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"Human Rights Watch"-ის კრიტიკა დაიმსახურა აშშ-ს ზოგიერთმა მოკავშირემაც. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს საერთაშორისო ორგანიზაცია ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა იმ ქვეყნებში გადაგზავნის მცდელობისთვის აკრიტიკებს, რომლებშიც ისინი წამების საფრთხის ქვეშ დადგებიან.

რაც შეეხება საქართველოს, "Human Rights Watch"-ის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულ მიხეილ სააკაშვილის მმართველობას გამოარჩევს ადამიანის უფლებათა დაცვასთან მიმართებაში არათანამიმდევრული დამოკიდებულება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ გასულ წელს ხელისუფლების პრიორიტეტად კვლავ რჩებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.

"საქართველოს მთავრობის ამბიციური რეფორმების პაკეტს მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება. თუმცა, ხშირად რეფორმები ნაჩქარევად ხორციელდება - ფართო და ღია კონსულტაციების, ასევე დეტალური გათვლების გარეშე, რის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ, ღრმად ფესვგადგმულ პრობლემებთან ბრძოლა. სწორედ ამის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ბევრ სფეროში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დარღვევების ის პრაქტიკა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი," - აღნიშნავს "Human Rights Watch" 2005 წლის ანგარიშში.

საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკის გამო, რეფორმები ხშირად არაადეკვატურ შედეგებს იძლევა. მაგალითად კი, 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებაა მოყვანილი, რომელმაც სასამართლოზე პრეზიდენტის გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა.

"არ არის კარგად გამოკვეთილი ის კრიტერიუმებიც, რომელთა მიხედვით იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს", - აცხადებენ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

"Human Rights Watch"-ის ყურადღების არეალში, ცხადია, ქართველი სამართალდამცავებიც მოხვდნენ. **"წამება და დაუსჯელობა 2005 წელს საქართველოსთვის სერიოზული პრობლემა იყო,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

ამასთან, ორგანიზაცია იმასაც აღნიშნავს, რომ გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები, მაგალითად, წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლის შემცირება, ასევე იმ პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დაკავებულთა და პატიმართა წამებაში, მაინც დაფიქსირდა.

"მიუხედავად ამისა, გაიზარდა პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტები ეჭვმიტანილთა დაკავებისა და პოლიციის შენობებში მათი გადაყვანის დროს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნევა რეგიონებში", - აღნიშნულია მოხსენებაში.

უცხოელმა ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება მედიის თავისუფლების შეზღუდვასაც დაუთმეს. საერთაშორისო ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ კანონმდებლობა პრესის თავისუფლების შესახებ დაიხვეწა და დარეგულირდა, თუმცა, მეოთხე ხელისუფლება ნაკლებად კრიტიკულია, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს.

"ჟურნალ-გაზეთები ხელისუფლების წნეხისაგან შედარებით თავისუფალნი არიან, რაც შეეხება სატელევიზიო არხებს, მათი უმრავლესობა მხოლოდ მთავრობის მაამებელ ინფორმაციას ავრცელებს", - წერს "Human Rights Watch"-ი.

"Human Rights Watch"-ის აღმასრულებელი დირექტორი კენეტ როტი.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ თვით ჟურნალისტებს შორის არ იგრძნობა მზადყოფნა, მათ საქმიანობაში მთავრობის ჩარევის ფაქტები გამოააშკარაონ. ამის მიზეზად კი ის სახელდება, რომ საქართველოში ჟურნალისტები მყარად არ არიან დაცულნი სამსახურიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლებისაგან და ამიტომ, მათი უმეტესობა სამსახურის დაკარგვის რისკის წინაშე კომპრომისს ამჯობინებს.

"Human Rights Watch" ეყრდნობა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციას და აცხადებს, რომ ხელისუფლება გავლენას უშუალოდ ტელეკომპანიების ხელმძღვანელებზე ახდენს და ამის მაგალითად ბადრი პატარკაციშვილის მიერ გადაცემა "დროებიდან" მოხსნილ სიუჟეტს ასახელებს.

საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებაში ჩეჩენი ლტოლვილების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზეც არის საუბარი. განსაკუთრებული კრიტიკა კი მთავრობამ ორი ქისტისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე უარის გამო დაიმსახურა.

უცხოელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ხელისუფლება გარკვეულ პრობლემებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც უქმნის, რომლებიც სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მონიტორინგს აწარმოებენ.

მოხსენებაში საქართველოსთვის დათმობილი მონაკვეთის დასასრულს "Human Rights Watch" საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებზე საუბრობს:

"საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით, ევროსაბჭომ 2005 წელს ქვეყანას გაუგრძელა ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ვადა. გარდა ამისა, გრძელდებოდა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ექსპერტულ შეფასებაზე მუშაობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოფიციალური თბილისი ევროპელ ექსპერტთა რეკომენდაციებს ყოველთვის როდი ითვალისწინებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ივლისში ევროსაბჭომ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა რეკომენდაციით, მეტი ყურადღება დაუთმოს აზერბაიჯანული უმცირესობის დისკრიმინაციის პრობლემებს".

"Human Rights Watch"-ის მოხსენების თანახმად: **"აშკარად საგრძნობია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ვაშინგტონის მხარდაჭერა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ამერიკის კრიტიკის ინტენსივობას მნიშვნელოვნად ამცირებს. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოში ვიზიტისას, საქართველოს უწოდა ქვეყანა, სადაც ყვავის თავისუფალი სიტყვა, პატივს სცემენ უმცირესობათა უფლებებს, ახალისებენ აქტიურ ოპოზიციას. ამასთან, ჯორჯ ბუშს სიტყვაც არ დასცდენია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ პრობლემებზე."**

დაბოლოს, ერთადერთი სფერო, რომელში წინ გადადგმულ ნაბიჯებზეც "Human Rights Watch"-ის მოხსენებაში ყოველგვარი "მაგრამის" გარეშეა საუბარი, ეს გახლავთ რელიგიის თავისუფლება. ამის დამადასტურებელ ყველაზე ნათელ მაგალითებად მოხსენებაში ბასილ მკლავიშვილისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ის ცვლილებებია დასახელებული, რომელთა თანახმადაც, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია გაადვილდა.

გადაამეტა თუ არა სპეცრაზმმა უფლებებს?

თითქმის ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც გენერალურ პროკურატურას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წერილობით მიმართეს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაწყებული ბუნტის დროს, პატიმრებისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ფაქტების გამოძება მოითხოვეს. როგორც გენპროკურატურაში ირწმუნებიან, გამოძიება მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დადგინდება, რამდენად კანონიერად გამოიყენეს ძალაუფლება თავისუფლებააღკვეთილი ადამიანების წინააღმდეგ პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ამასობაში კი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს წევრებმა, თეა თუთბერიძემ და აკაკი მინაშვილმა, გენერალურ პროკურორს მსჯავრდებულ გოჩა ფაცურიას საქმეზე გამოძიების დაწყება და, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირთა დასჯა მოსთხოვეს.

პატიმარ გოჩა ფაცურიას, რომელიც ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, 14 იანვარს სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა, აგრეთვე ტუბზონის უფროსის მოადგილემ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ სცემეს. როგორც პატიმარი ირწმუნება, ამის შემდეგ, იგი ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს და კარცერში ჩასვეს, სადაც მას კოლონიის უფროსი და მოადგილე ხელკეტებით გაუსწორდნენ. გოჩა ფაცურია ამჟამად თბილისის N1 საპყრობილეში, სამკურნალო განყოფილებაშია გადაყვანილი.

ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე პატიმარი მოინახულა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, რომელმაც სასჯელაღსრულებით დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმრის ფიზიკური შეურაცხყოფა გააპროტესტა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.

"პატიმარი ფაცურია სასტიკად არის ნაცემი. სხეულის ყველა ნაწილზე დაზიანებები აქვს მიყენებული, რის გამოც, ის სასწრაფოდ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, რათა უფრო მძიმე შედეგი არ მივიღოთ. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს. პატიმრისადმი ასე სასტიკად მოპყრობა არც ერთ რეჟიმს არ ეპატიება," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

გუშინ კი ნაცემი მსჯავრდებული თეა თუთბერიძემ და აკაკი მინაშვილმა მინახულეს. თეა თუთბერიძე ირწმუნება, რომ გოჩა ფაცურია ნამდვილად სასტიკად არის ნაცემი, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ პატიმარი ცემასთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას მალავს. გოჩა ფაცურია ადამიანის უფლებების დამცველებს უმტკიცებს, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ და სპეცრაზმმა მას უმიზეზოდ სცემეს. როგორც თუთბერიძე აღნიშნავს, იგი გაესაუბრა ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულების თანამშრომლებს, რომელებიც მსჯავრდებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევაზე საუბრობენ. მათი თქმით, გოჩა ფაცურიას სამი დღის მანძილზე გრძელვადიანი პაემანი ჰქონდა ახლობლებთან. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თანამშრომლებს სპეციალური ოთახიდან გამოსვლაზე უარი უთხრა, მოგვიანებით კი, ნასვამი, "შტირით" შეიარაღებული გამოვიდა და თანამშრომლებს დაემუქრა. სწორედ ამიტომ გახდა დაწესებულების ადმინისტრაცია იძულებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სპეცრაზმი გამოეძახა, რომლებმაც პატიმარი განაიარაღეს. დაზიანება გოჩა ფაცურიამ წინააღმდეგობის გაწევის დროს მიიღო, ამტკიცებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

"ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ გოჩა ფაცურიამ დაწესებულების თანამშრომლებს მართლაც გაუწია წინააღმდეგობა. მაგრამ იგი ისეა ნაცემი, არ გამოვრიცხავთ ამ შემთხვევაში სპეცრაზმის და სხვა პირების მიერ ძალის გადამეტებას ჰქონდეს ადგილი. სწორედ ამიტომ უნდა დაიწყოს გამოძიება და თუ დანაშაულის ნიშნები გამოვლინდება, დამნაშავე უნდა დაისჯოს," - ამბობს თეა თუთბერიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ გენერალური პროკურატურა პატიმრების უფლებების დარღვევის ყველა ფაქტს ობიექტურად გამოიძიებს.

24 საათი

სოფელი არ ეთანხმება სამართალდამცავებს

გუშინ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის საკრებულოს თავმჯდომარე მატვეი რემიზოვი დააკავეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მან მოქალაქეს 40 ტონა ხორბლის ფიქტიურად შესყიდვის ამსახველი დოკუმენტის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 1200 ლარი გამოსძალა.

საკრებულოს თავმჯდომარის დაკავებამ თანასოფლელთა მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია. ულიანოვკის მცხოვრებთა თქმით, ის პატიოსანი ადამიანია და ქრთამის აღებას არ იკადრებდა. შესაბამისად, რემიზოვის თანასოფლელნი მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას შეითხზილს უწოდებენ და მისი დაკავების უკან იმ პირთა ინტერესებს ხედავენ, რომლებიც უკვე კარგა ხანია აიძულებდნენ რემიზოვს, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა დაეტოვებინა. თავიანთი პროტესტის გამოსახატვას ულიანოვკის მოსახლეობა დღეს, მატვეი რემიზოვის მხარდასაჭერ აქციაზე გეგმავს.

გუშინვე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გამომძიებელი ანზორ ეზუგბაიაც დააკავეს. მან ქურდობაში ეჭვმიტანილ პირს ქრთამის სახით 400 ლარი გამოსძალა. სანაცვლოდ კი გათავისუფლებას დაჰპირდა.

ორივე საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქეროსინებში არ განიხილება).

ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲡᲢᲘᲙᲔᲑᲘ ᲕᲘᲓᲐᲠᲔ ᲗᲘᲗᲝᲗᲘ ᲙᲕᲘᲗᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲔᲠᲜᲝ ᲡᲐᲖᲦᲣᲠᲒᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲓᲘᲓ ᲛᲘᲐᲒᲠᲣᲜᲔᲗ:

1. მეტროს სადგური "ამხმელის ოვალური" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "ნარიყალა";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გლდანი II".
(ყოფილი მეტროს სადგური "ფელიქსი");
8. მეტროს სადგური "ვაკის პარკი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმეტრის" შენობის ხელ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. ნერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოიგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, ნერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ვირის აბანო

მამუკა ხერხეულიძე

ჩვენი ეროვნული გმირი არსენა ხომ აბანოდან გაიქცა. თბილის-ქალაქის ეტიმოლოგიაც ჭრელი აბანოებიდან იღებს სათავეს. მეტეხის ციხეც იქვე, მტკვრის გადაღმა იყო, მაგრამ ვირი რა შუაშია, დღემდე ვერ გავიგე. არადა, რახან სიტყვამ მოიტანა, ეს არსენა, მგონი, ჩვეულებრივი კრიმინალი იყო, კომუნისტების დროს დაპიარებული, ათეისტი კაცი. თვითონ ხომ ღვინით ტყვრებოდა წითელ პარასკევს, ნათელმირონი გიორგი კუჭატნელის შეცდენაც მოინდომა. სიკვდილის წინ კასპის კლდეში გადამალულ ექვსას თუმანს (დაახლოებით დღევანდელი ექვსი მილიონი) დაიტირებს და ნათესავებს დაუტოვებს, ვითომ ღარიბებზე შერყეული, ქართველი ოპოზიციონერივით.

შესავალი

ეტყობა, როცა დიდი ხანი დაპყრობილი ხარ, თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი უკვე გენეტიკურ ფასეულობად იქცევა და ფარისეველი, კონფორმისტი საზოგადოება ალტერნატიული უარყოფითი "გაგებებით" ცხოვრობს, შესაბამისად, გმირებიც, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო ხალხია. სულ რაღაც სამი წლის წინაც ერთ სუფრაზე ნახავდით ქურდს, რექტორს, ჟურნალისტს, მწერალს, პოლიტიკოსს, პროკურორს, მღვდელს... მოსკოვში დღესაც ასეა. კრიმინალური ცენტრი ისევ მოსკოვია და მისი სირცე საბჭოეთი. განგსტერიზმისა და მაფიოზობის ტენდენციები თუ მეთოდები ჯერ იქ ინერგება, აპრობაციას გადის და მხოლოდ შემდეგ იმპორტირდება ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში.

ცნობილია: "ფენია", ანუ ქურდული სლენგი მთლიანად რუსულია. მოსკოვში დაგეგმილი, გალის ქართველთა ხელმეორე გენოციდის დროს, კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი, უშიშროების საბჭოს სხდომას კანონიერ ქურდს, ტარიელს (ვეფხისტყაოსნის გმირს არა) უთანხმებდა. მგონი, ეს მსოფლიოში განთქმული განგსტერი ამ საბჭოს წევრიც კი იყო. მათი აღიარება მთელი საზოგადოების დონეზე ხდებოდა, თითო ქურდი ყველას ეგულებოდა სანათესაოში ან სამეგობროში - თან ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, - ემერჯენსი, რომ გადაერეკა პატრულის მაგივრად.

ამ ბოლო დროს ციხეებში დაწყებულ მოვლენებს არავინ გამოეხმაურა. თუ გნებავთ, დავნიძლავდეთ: დღესაც კი, არათუ საზოგადოების აპოლიტიკური ნაწილი, ოპოზიცია და ტელეწამებული საზოგადო მოღვაწეებიც ხმას ვერ ამოიღებენ ქურდულ იდეოლოგიაზე, ძველბიჭურ მენტალიტეტზე, კონკრეტულ ავტორიტეტებზე, არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, ციხისთვისაც კი საშიში პატიმრის, ქურდი "წრიპას" არსენასავით აბანოში განბანვაზე.. ამ თემას უცხოეთში რომელიმე ნორმალური პოლიტიკური ჯგუფი უყურადღებოდ დატოვებდა?..

ფიზიკური შიში, უბნური, ძველბიჭური კონიუნქტურა თუ დღეს უკვე სასაცილო მცდელობა მათი გამოყენებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, როგორც ეს წინა საუკუნეში მოხდა? ალბათ, ყველაფერი ერთად. "ჩაშვებას" უწოდებენ მოქალაქის პოლიციასთან ურთიერთობას, პოლიტიკურ პლატფორმად ოპონენტის ცემას ასახელებენ (გამშველებლების იმედით), ქვაბავაზაკთა ბუდედ ქცეული სასამართლოს მექრთამე "ჯაჯ-ების" განთავისუფლებას ტერორად ნათლავენ, რეკეტირების და კრიმინალების გამო ქუჩებს კეტავენ და რევოლუციისკენ მოუწოდებენ ხალხს.

არადა, ხალხი უკვე საზოგადოებაა, ზუსტად იცის, რა უნდა, ოცდამეერთე საუკუნეა. ნამდვილი, მსოფლიოს მიერ აღიარებული დემოკრატიული რევოლუციის დროს "პროტესტანტთა" დიდი უმრავლესობა ვერანაირ ამინდს ვერ ქმნიდა ქართულ პოლიტიკაში. ისინი (დღეს უკვე პრეზიდენტი) ლიდერის დანამატს წარმოადგენდნენ, ცალკე არჩევნებს ვერც ერთი მოიგებდა. წესით, ყოველ დილას რევოლუციის ლოცვით უნდა იწყებდნენ (ჩემზეც გადმოვიდოდა მათი ლოცვის მადლი - მ.ხ.), სხვაგვარად პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ. ნაწილი სახლებში იმალებოდა, ვირთხებივით, ცეხავიკ-ოლიგარქ-პოლიტიკოსები კი კრიმინალური რეჟიმის შენარჩუნებას შეეცადნენ და ქვორუმი შეუვსეს ძალაუფლების გარეშე დარჩენილ მოხუც, მექრთამე მილიციელების იმედად დარჩენილ, ყოფილ დიქტატორ-ცეკას მდივანს. პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი, "საზოგადო მოღვაწეების" ჩათვლით, საქართველოს დაშლის ბურჯს, ფეოდალ ჯუჯა ფაშას ერთგულებას უმტკიცებდა ბოლო დღემდე, მიღებული ავანსის ფასად... ეს ხალხი დღესაც აქტიურობს, საკუთარი გავლენის, ფულის და მნიშვნელობის დაკარგვას ვერ ეგუება, ისევ მოსკოვში (მერამდენედ) ვიღაც მოდესტ კოლეროვის მიერ დაგეგმილ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას უწყობს ხელს, შეგნებულად თუ შეუგნებლად. იხტიბარს არ იტეხს, ტელევიზიიდან მორალსაც უკითხავს თანამოქალაქეებს მათი სკლეროზის იმედით.

ისინი გააფთრებით იცავენ "ქართველ მეცნიერებს" - ნიღს ბორს, აინშტაინს, მამარდაშვილს, ჯავახიშვილს ან გია დვალს ეროვნება არ სჭირდებათ, ისევე როგორც სტატუსი, პრივილეგია, მით უმეტეს, ბიუჯეტის ფული არ ადარდებთ. დანარჩენი ლოკალური, რაიონული მნიშვნელობის მეცნიერები, სამწუხაროდ, ინტელექტუალური ჯართი აღმოჩნდა და ეს ყველაფერი კომუნისტების დანატოვარი უბედურებებია.

ისტორიისთვის

- საჭიროა საბჭოეთის ნიუნბერგი, - თქვა ქალბატონმა პრეზიდენტმა ფრაიბერგამ თბილისში ხელმეორედ სტუმრობისას, თან ლატვიისაგან განსხვავებით, ჩვენ უფრო ადრინდელი საქმენი საგმირონი გვაქვს გადასახედი.

ღირებულებები თავდაყირა დგას. პარტიულები მოითხოვენ ლუსტრაციას. კაგებეშნიკები სარწმუნოების და პატრიოტიზმის სადარაჯოზე დგანან. წივილ-კივილი ტყდება საეჭვო ღირებულების (ყველანაირი მნიშვნელობით) ძეგლებზე, როდესაც დანგრევის პირასაა მისული ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები, რუსულ ჩინ-მედლებზე შერყეული რენეგატი პოეტის ბანკში დაგირავებულ კარ-მიდამოზე (ბაღი უცხოელის გაშენებულია, მგონი, ფრანგის). რუსის ჯართან ერთად პარიზში ტრიუმფით შესულ გენერალს კახეთის და გურიის განმათავისუფლებელი აჯანყებები სისხლში აქვს ჩახშობილი... ქართული საზოგადოების თვალი, მზეთუნახავი ქალიშვილი რუსეთის ოფიციალურ ჯგაშუშს ირანში, გოგოლის რევიზორივით თბილისში ჩამოხეტებულ გრიბოედოვს მიათხოვა, და ეს მხოლოდ მისი პრობლემა არ იყო - ზოგადად ქვეყნის... მთაწმინდაზე დაკრძალული, ოკუპანტი იმპერიის აგენტი... თან შესასვლელში... ტრაგიკომიკული კი რომანტიკოსი პოეტის ცხოვრების ფინალი აღმოჩნდა - მთავარმართებელთან აუდენციაზე გამოძახებული, ეპოლეტებითა და აქსელბანდებით მორთული, დამპყრობლის კარზე მიწვევით ამჩატებული თავადი მეეტლეს ისეთი სახარელი ხმით დასჭყივლებს "გასწიო", ისიც, მისი პირადი "მძღოლი", ცხენებს არ დაინდობს და ამ ისტერიულ-ისტორიულ პატივმოყვარული ფართხაფურთხის დროს გაქანებული ეტლის ბორბალი ახალუხის კალთას ჩაითრევს...

ბოლოს და ბოლოს, თავისი მოგვარის, ყველაზე დიდი მოაზროვნე ქართველის, ილიას ოპონენტი უმთავრეს საკითხში: თავისუფლება თუ მონობა...

ალბათ რუსული იმპერიისთვის თავდადებული სამსახურის გამართლება ეწადა ამ გენიალური სტრიქონების ავტორს - "არ ვსდევ ჟამთასვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად"... დიდი იმპერიებისათვის ერთგულების დასამტკიცებლად სამშობლოს აოხრება და დამონება დამპყრობლის კარზე მიღებული მატერიალური კეთილდღეობის ან პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების ფასად - ეს სტილი საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა საქართველოში - ვგონებ, ყველაზე წარმატებულად, და მეოცე საუკუნეში კობა სტალინი გამოვუზარდეთ კაცობრიობას.

სამოქალაქო ომით დაღლილი და საშინაო უზარმაზარი პრობლემებით შეშინებული, საერთაშორისო იმიჯის ანუ ლეგიტიმაციის მაძიებელი ლენინი საქართველოს დაპყრობას ჯერ არ ფიქრობდა, თან ინგლისის და გერმანიის ჯარები ბათუმში იდგნენ - რამე შარში არ გავეხვიოთო. ინტელექტუალი ტროცკიც მხარს უჭერდა ათაშანგშეპარულ ბელადს. პატარა გაქაჩვაც მომხდარა, მაგრამ სოსო უკვე პირველობას იჩემებდა და სამშობლო საქართველოს ოკუპაცია კავკასიითურთ აუცილებელი შესაწირავი იქნებოდა საბჭოთა "ობშიაკში". ასეც მოხდა. სტალინმა თვითნებურად ორჯონიკიძე გაუშვა საქმეზე (რა სირი მთავრობაც იყო საქართველოში, კარგად იცოდა, არც შემცდარა), მოსკოვში მისულმა დეპეშამ - თბილისზე წითელი დროშა ფრიალებსო, ფაქტის წინაშე დააყენა კრემლი. ასეც დაერქვა ბოლშევიკურ ისტორიაში - ქართველთა საქმე.

ნიშანდობლივია: ბაზალეთის სამარცხვინო ძმათამკვლელი ბრძოლის ინიციატორის, ქართლ-კახეთის ამაოხრებელ სააკაძეზე ფილმი სტალინის ბრძანებით შეიქმნა. სულ ახლახან კი შევარდნაძემ ძეგლი დაუდგა დიდ მოურავს. თავიანთი მოღალატური მოღვაწეობის გასამართლებლად ირჯებოდნენ ალბათ. გაორებული კაცი - ასე მორიდებულად აფასებს ისტორიკოსი სააკაძეს. ამბები და აზმანი ბევრად უფრო მძიმეა, სიმართლე უნდა ითქვას, თუ გვინდა მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რა არის ღალატი და შესაბამისად გმირობა.

ისევ აბანო და ტერორისტის დედა

გმირებს დროებით მოვეშვათ: ისევ აბანო. ავი ენები ათი-თხუთმეტი წლის წინაც ჰყვებოდნენ, ციხიდან ავტორიტეტის გარეთ გაყვანა ჩვეულებრივი მოვლენააო, მაგრამ მე არ მჯეროდა ქუჩური მითოლოგიის ყოვლისშემძლეობის, როგორც ჩემპიონთა ლიგის გაყიდული თამაშების არ მჯერა დღესაც. პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებული რეფორმის შემდეგ გადავწყვიტე ამ ტექსტის გამოქვეყნება. რევოლუცია ვირის აბანოში რეალურად დღეს დაიწყო.

სატელევიზიო სიუჟეტის შემდეგ სასამართლოს დარბაზში ქართული ტელევიზიის ფეისი, ტერორისტი არუთინიანის დედა, ჟურნალისტების მიერ მადონასავით ამოჩემებული, ბორშჩის ვერგადაცემული ქილით, გაანჩხლებული უარს ამბობდა კომენტარზე. მოწმის სახით ჩვენებას ამერიკელი ფბა-ის აგენტები აძლევდნენ მოსამართლეს, რომელსაც თარჯიმანი არ სჭირდებოდა, ინგლისურად კითხავდა ამერიკელებს. თავად ეს ფაქტი და, რაც მთავარია, ამ მსოფლიო მნიშვნელობის ტერაქტის გამოძიება ჩვენი სამართალდამცავების მიერ სიამაყის საბაბს იძლეოდა, მეც კარგ ხასიათზე დავდექი, რკინის გისოსებში ბაბუინივით მცქმუტავ მანიაკს ხმამაღლა დედა შევაგინე და ჩემი ბიჭის გაოცებულ მზერას წავაწყდი (ბორშჩის ქილიანი ქალი გაახსენდა ალბათ). მე თვალი ავარიდე და ის ამბავი გავახსენე, მეგობრებთან ერთად იმ მზიან დღეს თავისუფლების მოედანზე რამდენიმე მეტრში რომ აღმოჩნდა არუთინიანის დაგდებულ წითელ ცხვირსახოცთან.

ახალი ამბები გრძელდება ჩვენს ნერვიულ ტელევიზორში. საახალწლო გადაცემების ტრადიციული პროვინციული პროექტი წელსაც მომზადდა, პოლიტიკოსების დუეტები, ტრიოები, კვარტეტები, წინა დღეს პენსიებისთვის ტელეწამებული შეურიგებელი, ტყავჯუბიანი, თვალებდალეღავებული ოპოზიციონერები ქშენვით, საშინლად უნიჭოდ რეპავდნენ სოციალურ შოვინისტურ, ბაზრობისსუნიან ტექსტებს. ერთ დროს, ბიტლომანობამდე, თუპაქის დამცველი ჩემი ბიჭის მზერა ვიგრძენი ისევ.

ზაზას ბესტსელერი

ფბა-ის აგენტები სასტუმროში მიბრუნებულიყვნენ ჰალსტუხმოხსნილები, ვისკის წრუპავდნენ ქართველ თარჯიმანთან ერთად და მარიოტის დაუნევროზებელ ტელევიზორში ამავე არხს უყურებდნენ. ართ-უნ-იან-ის (ასე დამარცვლით გამოთქვამდნენ ამერიკელები) სახეს, ქცევებს და რატომღაც მის ფრანგულ რეპლიკებს იხსენებდნენ აჟიტირებულები. შიგადაშიგ თარჯიმანს ტელევიზიით გადმოცემულ სიუჟეტის შესახებ ეკითხებოდნენ, რომელიც ჯიგარი ბიჭი ანუ ზაზა აღმოჩნდა. ტექსტში ნეოლოგიზმების გამოყენებაც ზაზას ბრალია, რომელიც სოციალურ დეტექტიურ რომანზე მუშაობს და სიზმარში ტაბლოიდური ფერადი ჟურნალის პირველ გვერდზე თავის ფოტოს ნახულობს ხოლმე, პრემია "საბას" თასით ხელში. ქართულ სალიტერატურატურო ენაში რევოლუციის მოხდენასაც აპირებს - ახალ საუკუნეს, ვირტუალურ კოსმიურ ეპოქას არქაული ტელეგრაფის ენა ვეღარ ეწევა, სიტყვებს შორის ამდენ ჰაერს ვინღა აიტანს, ის კი არა, აბრევიატურაზე გადავა მალე მწერლობაო. ან დაგინებულია ბოლო-ბოლო ერთი "და" რომ უნდა დაწერო წინადადებაში და ამ ისედაც დროს გამყვანი, უაზრო "რომ"-ის წინ მძიმეო.

ზაზა "წრიპას" და ბადრაგების შესახებ ტყუილს უყვებოდა ამერიკელებს - ციხიდან სამი წლის წინ გაქცეული ძებნილები აიყვანეს ყალბი საბუთებითო. აბა, რა უნდა ეთქვა, ვოვაჩკასაც ასე ატარებენ აბანოშიო, იფიქრებდნენ. კიდევ კარგი, სტუმრები გუშინ "სამეფოში" არ შეიყვანა, გულოსთან იყვნენ, თორემ ხომ იცნობდნენ იქაურობას, არადა, გოგირდზე და ქისაზე გადაირივნენ, როგორც ყველა უცხოელი. მოულოდნელად ზუსტად გულოსნაირი ხორცისფერი "შლიოპანცები" აიღო ოპერატორმა მსხვილი პლანით, წყლიან ვედროში ჩაწყვილებული. კიდევ კარგი, აგენტები ამ დროს თვითონაც ფეხზე იხდიდნენ კორიდორში, ზაზას პულტი ხელში ეჭირა და სხვა არხზე გადართო. აქ ისევ თვალებჩალურჯებული, ტყავქურთუკიანი პოლიტიკოსები სტუდიური ყურთბალიშებით ჰიპ-ჰოპს უბერავდნენ უმუსიკოდ, ქშენით, ხვნეშით, დილიხორით გაჭაჭულები. ფხიზელ ლოთებს ჰგავდნენ ჩასისხლიანებული თვალებით და ზუსტად იმ შლიოპანცების ფერი ლოყებით - გადამცემის ბრალიაო, ეტყოდა, სტუმრებს რომ წაესწროთ, თორემ ქართველები ევროპელები ვართ, ცისფერთვალება, ქერა, ყირმიზი (ამ სიტყვის თარგმნა გაჭირდა) ხალხიო - გუშინ, ზუსტად აბანოში უყვებოდა ტიტველ მოტანტალე აგენტებს თვითონ უკვე ჩაცმული, ტყავის ქურთუკმოსხმული შეზარხოშებული ზაზა. პოლიტიკოსები მღეროდნენ ხვნეშით, ქშენით, მაგრამ დილიხორით, უმელოდიოდ, უნიჭოდ, უთავმოყვარეოდ და საერთოდ, ნებისმიერი სიტყვაშეთანხმებით პრეფიქსით "უ-", მსუქან, ასაკის კეპით დამფარავ თინეიჯერ ბადრაგთან ერთად. ფუ,.. რეპერთან ერთად, რომელიც საოცრად არ ჰგავდა მომღერალს... ფუ. ბადრაგს...

ზაზა უკვე კენტუკელების თვალებით ხედავდა სამყაროს. სტუმრები შემოვიდნენ, სხვა არხზე გადართო. იქ შლიოპანცები გაკრთა ისევ და ვიდრე რეპერ ბადრაგებზე გადმორთავდა, სხვა სიუჟეტი დაიწყო: სახედალაქავებული რესპონდენტი, ხმით და ჩაცმულობით კაცი, თორემ მამრობითი სქესის მაწყევარი, თავის გეიჭირვებაზე ჰყვებოდა, მაგრად ვრისკავ, მაინც მიცნობენ, ფაქტიურად ვეწირები თქვენს გადაცემასო. შახიდი ვარო, ამბობდა სასოწარკვეთილი, ასაკის დამფარავი ქუდით შენიღბული ხანდაზმული თინეიჯერი, ოდნავ უცნაური ქართულით... - ბატონო იმანო, ... გარკვეულწილად, შეიძლება დამხვდნენ სტუდიიდან გასულს... როგორც მას... წინა პარასკევს, თქვენი გადაცემიდან შინ მიმავალი მარშრუტკიდან ჩამოათრიეს, ის მოაჭრეს, თავისით აპირებდა მაინც, ჩაწერილი იყო კუზანოვთანო... პირში თავისსირჩადებული იპოვეს თემქაში, უბანშიო. მთელი კვირა ეგდო საწყალი მოედანზე, ვერავინ გაბედა აეღოთ და ადამიანურად დაემარხათო... ბოლოს და ბოლოს თქვენსას ვაძლევთ რამეს, ბოშოო (ვერმოსწრებული ბაბუის ტერმინოლოგია ამოვარდა ქვეცნობიერიდან)... თქვენ ხალხი ხართ... თქვენი რა გადისო - და წასკდა ტირილი სახედალაქავებულ გეირესპონდენტს. წამყვანმა, გეი-ხარ-ე, გეიხარეო, და სხვა კამერაზე გადავიდა, ლაივ მსვლელშეწირვით ოდენ მიმიკით კმაყოფილი. კუნთებათრთოლებულმა აგენტმა, ვინ იყო ეს კაციო, იკითხა, თან ცრემლები რომ არ წამოსვლოდა, ყველა ნაღდ ვაჟკაცს გაუმარჯოსო, ვისკი ჩაიპირქვავა. მეორემ, რა ხდება, მეც მითხარითო, ისიც მზად იყო სატირლად. - ეს გამაღიზიანებლად ჯანმრთელი ხალხი გავალოთე ფაქტიურადო, გაიფიქრა ტელეწამყვანივით ოდენ მიმიკით კმაყოფილმა, გამხდარ-წვერიანმა თარჯიმანმა, რომელსაც ახალმოდურუბიანი ჯინსი უხერხულად შეკვეხოდა ბარძაყ-პახში. - არ მკითხონ! მართლაც, ყველაფერი როგორ მოეყოლა: პოლიტიკოსები ნაცემები რატომ იყვნენ, საერთოდ, ესენი რომ იყვნენ, თვითგაიჩალიჩესო (ისევ უთარგმნელი სიტყვა), ან რა ამღერებთო, ხომ იკითხავდნენ. ბადრაგები აიღო კამერამ მსხვილი პლანით, - ამათ რა საბუთები უშველიდათ, სახეზე აწერიათ, ვის რამდენი წელი აქვს მისჯილი, თუ გინდა, ვიტყვიო, სამუდამო, თქვენთი ფაივ თუ ლაიფ - კოპაძის შავ-თეთრი საარქივო მასალის ჩვენებისას ამბობდა კეფა-საფეთქელაკრეჭილი, კუნთებით მოსაუბრე აგენტი ჯონი?.. მგონი, ამათი სახელებიც აღარ ახსოვდა. ახლა დააფიქსირა, ტყუპებივით ჰგავდნენ დასავლეთუცხოელები ერთმანეთს. იმათთვის ჩვენც ესე ვართ ალბათ, ჩინელებივითო. საკუთარი შვილის უფლებადამცავი ქალი გამოჩნდა ეკრანზე, პარიკიანი. ზაზამ გადართვა დააპირა, პულტის მაგივრად ვისკის ჭიქა ეჭირა ხელში, საცა ვიწრო იყოს, იქ გაწყდესო, გაიფიქრა, ტყუპებს მიუჭახუნა, ჩვენს გაგებას (აზრზე მოდი, ამისი შესატყვისიც არა აქვთო), მაინდ-ს გაუმარჯოსო, ინგლისურად, და გადაჰკრა. ბიჭებმაც დაცალეს ჭიქები.

უკვე დაცარიელებულ მარშრუტკაში, უკანა საზურგეს ჩაჭიდებული გეირესპონდენტი ანზორი გაოცებულ ტყავქურთუკიან მძღოლს სარკიდან ეპრანჭებოდა მაინც, შეიძლება ბოლოჯერ... შოფრის სარკმელში შუშის შესაკავებლად ჩარჭობილი დიდი, ხისტარიანი სახრახნისი ავად უმზერდა ანზორს, მაგრამ - აწი, საცა ვიწრო იყოსო, ფიქრობდა სრულიად გაბითურებული ტელეწამებული და კენტუკელებისთვის ერთნაირ, ანზორისთვის კი ცრემლებამდე მშობლიურ, სრულიად ორიგინალურ კორპუსთან ჩერდებოდა გაფსიხებული მარშრუტკა. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავყევ წამავალსაო, გაიფიქრა რომანის ფინალზე გაჭედილმა ზაზამ, ანზორის წვეტიან, სისხლით დალაქავებულ, პერვერსიულ ფეხსაცმელებს აუცილებლად გამოიყენებდა ნაწარმოებში.

■ ■ ■

ისევ მარიოტი. ტელეეკრანზე თოჯინისთმებიანი ქალი საუბრობდა სლავურ-ლაზურით. ამას კი გულწრფელად ვერ თარგმნიდა, რომც ეთხოვათ - ეს ქალი იმ ბანდის წევრია უეჭველი, კარის ჭუჭრუტანასთან აყენებდნენ მძარცველები, კარი რომ გაღებულიყო, ხომ სწორად მივხვდიო, - ზაზას აცივდებოდა ჯონი. მგონი. მსუქან ინტელექტუალ-ვულგარულ მინისტრ "ბენდუქას" გზას უღობავდნენ და კომბლებივით მიკროფონებს პირში თხრიდნენ აბეზარი ლასის დეფექტიანი ჟურნალისტები. ამერიკამ თავის თავს მიხედოს, ჩვენ რომ ჭკუას გვასწავლისო და კიდევ რაღაც სკაბრეზულს როშავდა, ავაგდე კოჭი... თუ რაღაც... ზაზამ ტელევიზორი გამორთო სასწრაფოდ, ოდნავ შერცხვენილმა, წასასვლელი ვარო, თორემ ამას აღარ გადათარგმნიდა. რას ერჩოდა ამერიკას ეს დაჭმუჭნულტანსაცმლიანი ბეგემოტი კლერკი, კაცმა არ იცის, გეორგიევსკის ტრაქტატი ვაშინგტონში დაწერილი ხომ არ ჰგონია ამას?

- აბა, თუ ტრაკი აქვს (რა თქმა უნდა, ფიგურალურად, თორემ ამას იმხელა აქვს, თავის აწყობილ "ურალზეც" არ დაეტევაო), რუსებს შეაგინოსო, - გაიფიქრა უკვე კორიდორში მიმავალმა, აგენტებთან დამშვიდობებულმა ზაზამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, სახლში მისულიყო, წინა მივლინებაში ყოფნისას მასპინძელი ამერიკელების ნაჩუქარ ლეპტოპთან მიმჯდარიყო და დეტექტიური რომანი გაეგრძელებინა. ფინალი ნაპოვნი იყო: ნატოს ჯარები შედიან მოსკოვში. ვითომ "გრუზავიკების", სინამდვილეში იარაღის ქარხანა "ურალმაში". სათაურიც არის: მოოდესტ(თავმდაბალი. ინგლ.)ი - ვირის აბანოში.

ფეხბურთი

"პიუნიკმა" დსთ დატოვა

"პიუნიკი" სომხეთში გაფრინდა.

ფეხბურთში დსთ-ის ჩემპიონთა თასის გათამაშების 14-წლიანი ისტორიის განმავლობაში ასეთი სკანდალი არ მომხდარა. სომხეთის "პიუნიკმა" მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა რუსეთის დედაქალაქი. სომხებმა ნახევარფინალში ბაქოს "ნეფთჩისთან" თამაში არ ისურვეს. აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევას ტურნირის ორგანიზატორები არ ელოდნენ და ისინიც დაბნეულები შეხვდნენ სომეხთა ამ გადაწყვეტილებას. მართლებიც არიან - ასეთი სკანდალი ხომ პირველად მოხდა.

აღსანიშნავია, რომ "პიუნიკმა" ტურნირის მეოთხედფინალში დონეცკის "შახტარი" - 3:1 დაამარცხა. არადა, უკვე იცოდა, რომ ნახევარფინალში ბაქოს "ნეფთჩი" გავიდა. ამის გამო სომხებმა მატჩის დამთავრების შემდეგ ტურნირის მთავარ მსაჯსა და ორგანიზატორებს განუცხადეს, რომ არ ითამაშებენ ბაქოს "ნეფთჩის" წინააღმდეგ და შეჯიბრებიდან მოიხსნებიან.

ამასთან, "პიუნიკის" ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ გაფორმებული არ არის. "თიმცა, თუ ასეთი რამ მოხდება, მაშინ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი განიხილავს შესაძლებლობას, მომავალში არ დაუშვას სომხეთის ჩემპიონი "პიუნიკი" დსთ-ის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ყველა საკითხი საბოლოოდ დღეისთვის მოგვარდება. ამდენად ტურნირის ფინალში ავტომატურად ითამაშებს ბაქოს "ნეფთჩი". ფინალის მეორე საგზურს კი მოსკოვის ცსკა და ლიტვის "კაუნასი" გაითამაშებენ. რუსეთის ჩემპიონმა მეოთხედფინალში ლატვიის "მეტალურგს" მოუგო, ხოლო ლიტველებმა მოლდოვას "შერიფი" დაამარცხეს პენალტების სერიით.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სომხებმა საბოლოოდ უარი განაცხადეს თამაშზე და სამშობლოში გაემგზავრნენ. ასეთი გადაწყვეტილება ერევნის კლუბის ხელმძღვანელობამ უსაფრთხოების მიზნით მიიღო. ამასთან სომხებმა არანაირი კომენტარი არ გააკეთეს და ჟურნალისტებთან საუბრისგანაც თავი შეიკავეს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესატაშე ანდრეი მალოსოლოვმა განაცხადა, რომ რუსები სომხების გადაწყვეტილების შესახებ საქმის კურსში იყვნენ და "პიუნიკის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. "ნახევარფინალები პარასკევისთვის არის დაგეგმილი და უკვე ცნობილია, რომ ბაქოს "ნეფთჩი" ფინალში ითამაშებს," - განაცხადა მალოსოლოვმა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ დონეცკის "შახტარის" ხელმძღვანელობას სთხოვა "პიუნიკის" ნაცვლად ნახევარფინალში თამაში, მაგრამ უკრაინელებმა უარი განაცხადეს. "ჩვენ, რასაკვირველია, გვსურდა ნახევარფინალში თამაში, მაგრამ იქ სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მოვხვედრილიყავით და არა სხვაგვარად. ფინალში უძლიერესმა უნდა ითამაშოს." - განაცხადა "შახტარის" სპორტულმა დირექტორმა ვიქტორ პროკოპენკომ.

ამრიგად, საქმე არსებული რეგლამენტის მიხედვით მოგვარდა. რეგლამენტის მიხედვით, გუნდს, რომელიც მატჩზე საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება, ჩაეთვლება ტექნიკური წაგება - 0:3. ამდენად სომხებს წაგება ჩაეთვალათ. ანუ "ნეფთჩი" დსთ-ის ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშებს, რომელიც 22 იანვარს მოსკოვში "ოლიმპიისკის" სპორტულ კომპლექსში 13 საათზე გაიმართება.

აზერბაიჯანელთა მეტოქე მოსკოვის "ცსკასა" და ლიტვის "კაუნასს" შორის გამარჯვებული იქნება.

მოკლედ

"მილანი" ტერლიცით დაინტერესდა

იტალიური "მილანის" ხელმძღვანელობა "პალერმოს" მცველი კრისტიან ტერლიცით დაინტერესდა. იტალიური პრესის ცნობით, "მილანი" მზად არის ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,5 მილიონი ევრო გადაიხადოს. იტალიელი ჟურნალისტები იმასაც იუწყებიან, რომ ტერლიცის პერსონით მოსკოვის "სპარტაკიც" არის დაინტერესებული.

"ჰართსის" აქციები ვაჭრობიდან მოხსნეს

შოტლანდიური "ჰართსის" აქციები მოხსნილი იქნება ლონდონის საფონდო ბირჟიდან. ეს საქმე დღეს განხორციელდება. ამის შესახებ გუშინ შოტლანდიური კლუბის პრესატაშემ განაცხადა. აღნიშნავენ, რომ კლუბის მფლობელი ვლადიმირ რომანოვი, რომელიც "ჰართსის" აქციათა პაკეტის 80 პროცენტის მფლობელია, ადრეც აპირებდა კლუბის სავაჭრო ბირჟიდან მოხსნას.

"რეინჯერსის" ყოფილი ფორვარდი "სელტიკში" ითამაშებს

"გლაზგო რეინჯერსის" ყოფილმა ფორვარდმა კენი მილერმა "სელტიკში" გადასვლაზე წინასწარ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამჟამად მილერი ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ "ვულვერჰემპტონის" ღირსებას იცავს.

"ფიორენტინამ" "ევერტონის" მცველი შეიძინა

ფლორენციის "ფიორენტინამ" ინგლისის "ევერტონის" მცველი პარა კროლდრუპი შეიძინა. იტალიის ორგზის ჩემპიონებმა ამის შესახებ გუშინ განაცხადეს.

დი სტეფანო ჰოსპიტლიდან გამოწერეს

მადრიდის "რეალის" საპატიო პრეზიდენტმა ალფრედო დი სტეფანომ ჰოსპიტალი დატოვა. სააგენტო "როიტერსის" ცნობით 79 წლის ვეტერანმა გულის არეში ოპერაცია გადაიტანა.

რეინა ერთი წლით დარჩება

კლაუდიო რეინამ ინგლისის "მანჩესტერ სიტისთან" ახალ, ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. წინა შეთანხმება კლუბსა და აშშ-ის ნაკრების 32 წლის ნახევარმცველს შორის ზაფხულში იწურებოდა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ფეხბურთელი ფეხის ტრავმის გამო ვერ თამაშობს. "უაღრესად მოხარული ვარ, რომ შეთანხმება მოხდა. კონტრაქტის გაფორმება დიდი ხანია მინდოდა - განაცხადა რეინამ - კლუბი სწორი მიმართულებით მიდის და ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით ვითამაშოთ".

"რეალი" დიეგო ლოპესის გარეშე

მადრიდის "რეალის" სარეზერვო მეკარე დიეგო ლოპესმა ესპანეთის თასის გათამაშების მატჩში სევილიის "ბეტისის" წინააღმდეგ (1:0) ბარძაყი დაიზიანა და ადვილი შესაძლებელია მწყობრიდან მარტამდე გამოვიდეს. 24 წლის მეკარეს სულ მეოთხედ ეღირსა ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა, მაგრამ იძულებული გახდა თამაში უკვე მე-20 წუთზე დაეტოვებინა. ის იკერ კასილასმა შეიცვალა. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ლოპესი მწყობრიდან დაახლოებით თვენახევრით გამოვიდა. ამდენად ამ ხნის განმავლობაში გუნდის ძირითადი მეკარის - იკერ კასილასის დუბლიორი ნაკლებად გამოცდილი 23 წლის ხორდი კოდინა იქნება.

ჩოგბურთი

მთავარი ავსტრალიელი გავარდა

გაუშინდელი დღის ორი უიღბლო: ლეიტონ ჰიუიტი და მარი პირსი.

მელბურნში მიმდინარე ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში დიდი სენსაცია მოხდა. არგენტინელმა ხუან იგნასიო ჩელამ ოთხ სეტში - 6:4, 6:4, 6:7, 6:2 დაამარცხა მესამე ნომრად განთესილი ლეიტონ ჰიუიტი და ავსტრალია მისი მთავარი იმედის გარეშე დატოვა.

ოზები გაოგნებულნი არიან. სწორედ ჰიუიტი მიიჩნეოდა ერთადერთ ჩოგბურთელად, ვისაც ოზების ვარაუდით როჯერ ფედერერისთვის უნდა გაეწია ჯეროვანი წინააღმდეგობა და ვინ იცის, იქნებ მშობლიურ კედლებში მოეგო კიდეც მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის, მაგრამ არგენტინელმა ჩელა არ დააცადა.

ეს იყო ნერვების ბრძოლა და ავსტრალიელთათვის სამწუხარო აღმოჩნდა, რომ ჩელა ბევრად უკეთ მოემზადა ამ კომპონენტში. პირველ სეტში თანაბარ ბრძოლაში ჰიუიტმა თავისივე დაუდევრობითა და უამრავი შეცდომის ფონზე საკუთარი მოწოდება დათმო და 6:4 დამარცხდა. იგივე სცენარით წარიმართა მეორე სეტიც. მაყურებელთა მიერ შეგულიანებული ჰიუიტი მხნედ კი გამოიყურებოდა, მაგრამ დიდ ფსიქოლოგიურ წნეხსაც გრძნობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. არგენტინელი კი უბრალოდ შეეცადა ამ შეცდომების გამოყენებას. მან მეორე სეტშიც ერთი გეიმი აართვა ავსტრალიელს და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

მესამე სეტში ჰიუიტმა შეცდომა აღარ გაიმეორა მაგრამ მეტოქის გეიმიც ვერ მოიგო და ამიტომ გამარჯვების მოსაპოვებლად მომქანცველი ტაი-ბრეიკი დასჭირდა, რომელიც ავსტრალიელმა - 10:8 მოიგო. მეოთხე სეტში კი ამდენი ემოციებით დატვირთული ჰიუიტი აბსოლუტურად მოიშალა და აგრესიულ არგენტინელს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია - 6:2 ჩელას სასარგებლოდ.

საბოლოო ჯამში, ჰიუიტმა 8 ეისი მიითვალა, 3 ორმაგი შეცდომა დაუშვა და ამასთან 62 უნებლიე შეცდომაც მიითვალა ანგარიშზე. ახლა ავსტრალიელებს ვაჟ ერთეულთა თანრიგში ორი ჩოგბურთელი დარჩათ - პეტერ ლუჩაკი და ნათან ჰეილი, რომლებმაც შესაბამისად ბელგიელი ოლივიე როხური და ამერიკელი ამერ დელიჩი გამოთიშეს ასპარეზობას.

სენსაცია მოხდა ქალთა ნაწილშიც. ტურნირს დაემშვიდობა მე-5 ნომრად განთესილი ფრანგი მარი პირსი.ჩეხმა ივეტა ბენეშოვამ ორ სეტში მოუგო ამბიციურ ფრანგს - 6:3, 7:5. არადა მეორე სეტში ანგარიში - 5:3 იყო პირსის სასარგებლოდ და ფრანგს თავის მოწოდებაზე ორი მატჩ-ბოლი ჰქონდა, მაგრამ ბენეშოვამ ორივე გაანეიტრალა და შემდეგ გეიმის მოგებაც მოახერხა. ეს მომენტი მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ფრანგი ჩოგბურთელი ფსიქოლოგიურად გატყდა და ბენეშოვას დარჩენილი სამი გეიმიც დაუთმო. საბოლოო ჯამში, ჩეხი ჩოგბურთელი მესამე წრეში გავიდა, სადაც მარტინა ჰინგისს შეხვდება. ჰინგისი ამჟამად შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და მეორე წრეში უაღრესად იოლად, ორ სეტში - 6:1, 6:1 დაამარცხა ფინელი ემა ლაინე.

ვაჟები:

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) - ფლორიან მაიერი (გერმანია)	6:1, 6:4, 6:0
ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3)	6:4, 6:4, 6:7, 6:2
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 15) - იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი)	6:3, 3:6, 5:7, 6:3, 6:2
გილიერმო კორია (არგენტინა, 6) - ფედერიკო ლუცი (იტალია)	7:6, 6:4, 6:3
პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) - ოლივერ როხუსი (ბელგია)	6:7, 6:4, 6:1, 6:7, 6:1
ტომი ჰაასი (გერმანია) - ჰოლ გოლდშტეინი (აშშ)	6:0, 6:1, 6:2
სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 25) - ხუან მონაკო (არგენტინა)	6:4, 6:3, 6:3
ნათან ჰეილი (ავსტრალია) - ამერ დელიჩი (აშშ)	6:4, 6:7, 6:3, 6:4
ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 5) - კევინ კიმი (აშშ)	4:6, 6:0, 6:3, 6:2
ნიკოლას კიფერი (გერმანია, 21) - ბორის პაშანსკი (სერბეთი)	6:4, 1:6, 6:4, 6:1
კრისტოფ ვლიეგენი (ბელგია) - ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 28)	3:6, 6:2, 7:6, 7:5
პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) - ალექს ბოგომოლოვი (აშშ)	6:0, 7:6, 6:2
ლუის ჰორნა (პერუ) - ბიორნ პაუ (გერმანია)	6:3, 6:2, 6:1
მაქს მირნი (ბელორუსი, 30) - დავიდე სანგინეტი (იტალია)	7:5, 6:3, 4:6, 7:6
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 12) - დიკ ნორმანი (ბელგია)	6:2, 7:5, 5:7, 4:6, 10:8
იგორ ანდრეევი (რუსეთი, 23) - რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია)	3:6, 6:3, 7:6, 2:6, 6:2

ქალები:

სამანტა სტოსური (ავსტრალია) - ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 21)	6:3, 7:5
კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - მენგ იუანი (ჩინეთი)	6:4, 6:2
ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ემილი ლუა (საფრანგეთი)	7:6, 6:2
მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - ემა ლაინე (ფინეთი)	6:1, 6:1
ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) - მარი პირსი (საფრანგეთი, 5)	6:3, 7:5
პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 7) - შინობუ ასაგო (იაპონია)	6:1, 7:6
მიკაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) - სანია მირზა (ინდოეთი, 32)	6:3, 7:5
მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) - ანა-ლენა გრენფელდი (გერმანია, 22)	4:6, 6:4, 6:1
ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 20) - მარტინა სუბა (სლოვაკეთი)	6:3, 6:0
სიბილ ბამერი (ავსტრალია) - ჟი იანგი (ჩინეთი)	6:3, 6:4
აიკო ნაკამურა (იაპონია) - ჟიზელა დულკო (არგენტინა, 31)	6:1, 6:1
ანასტასია მისკინა (რუსეთი, 12) - ჯეიმი ჯეკსონი (აშშ)	7:6, 0:6, 6:3
ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი, 16) - ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	6:2, 6:1
სოფია არვიდსონი (შვედეთი) - დინარა საფინა (რუსეთი, 19)	6:4, 6:0
ფლავია პენეტა (იტალია, 20) - მარტინა სუბა (სლოვაკეთი)	6:3, 6:0
რობერტა ვინჩი (იტალია) - მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 27)	6:4, 3:6, 6:3

მამა დოკიჩი ქალიშვილს იტაცებს

ერთ ხანს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ახლა კი სამ ასეულს მიღმა მყოფი ყოფილი იუგოსლავიელი ჩოგბურთელის ელენა დოკიჩის მამა დამირ დოკიჩი იმუქრება, ჩემს გაავსტრალიელებულ ქალიშვილს მოვიტაცებ და მერე სიცოცხლეს გამოვასალმებ იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში საცხოვრებლად და სათამაშოდ დაბრუნდაო.

ელენა დოკიჩმა პროფესიული კარიერა 1998 წელს ავსტრალიის დროშის ქვეშ დაიწყო, მოგვიანებით კი 2001 წელს სპორტული ცხოვრება ისტორიულ სამშობლოში - სერბეთში გააგრძელა. უხიაგ მამასთან საბოლოოდ გაფუჭებული ურთიერთობის გამო, ელენა ახლა კვლავაც მწვანე კონტინენტზე იმყოფება და ახალი ცხოვრების დაწყებას ცდილობს, თუმცა რამდენად შეძლებს საკუთარი მიზნის განხორციელებას, კვლავაც საკითხავია.

მამა-შვილს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე მეტყველებს ისიც, რომ ერთმანეთთან ორი წელიწადია უბრად არიან.

ახლახანს ვიუწყებოდით, 23 წლის ჩოგბურთელის ინიციატივით დამირ დოკიჩმა საკუთარი ქალიშვილისგან "გაყრის შეთანხმების" საფუძველზე მილიონი დოლარი მიიღო. ერთგვარი კომპენსაციის მიღების შემდეგ, თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, რომ სერბულმა გაზეთმა "კურირმა" დამირ დოკიჩის სიტყვები გამოამზეურა, რომლის მიხედვითაც მის მორიგ სიგიჟეს ვიტყობთ: "სიდნეიში ატომურ ბომბს ჩავაგდებო".

მეტიც, იმავე "კურირზე" დაყრდნობით იმასაც ვიტყობთ, რომ დამირს დახმარებისთვის სერბი პოლიტკოსებისთვის მიუმართავს - ქალიშვილის მოტაცებაში ხელი უნდა შემიწყოთო.

"ეგ კი არა, შურისძიებისთვის რომელიმე ავსტრალიელის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არაფერს მომცემდა...

ავსტრალიამ ხორვატიასთან და ვატიკანთან ერთად ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ჩემი ქალიშვილის გონება დაებინდა. ავსტრალიელები გათახსირებული ერია. იცოდნენ, მათ ჩემი შურისძიება დაატყდებათ თავს".

დამირის სიტყვებს უმალ გამოეხმაურა ქალთა საჩოგბურთო ასოციაცია, რომელსაც თავის მხრივ, ელენას ბედით შეჭირვებულს ჩოგბურთელისთვის ყველანაირი დახმარების აღმოჩენა განუზრახავს.

მამა დოკიჩი საჩოგბურთო სამყაროში რომ ანტიპათიით სარგებლობს, არავისთვის უცხო არაა. მის მორიგ მუქარას თუ გამოხტომას ელენას მხრიდანაც მოყვა განცხადება: "ყოველივე კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ავსტრალიაში და დიდ სპორტში დასაბრუნებლად. მთელი ცხოვრება მამის საქციელით გამოწვეული შედეგებისგან თავდაღწევას ვცდილობ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კვლავაც უმაღლეს დონეზე ავთამაშდე, რათა მისი სიტყვები დავივიწყო".

ერთი სიტყვით, დოკიჩი საკუთარ წარუმატებლობებში მამას ადანაშაულებს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სკანდალები.

ჯერ იყო და ბუნტი ატეხა, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის კენჭისყრა ჩაწყობილი იყოო. უხიაგი ხასიათის გამო, ერთხელ აშშ-ის ღია ჩემპიონატიდანაც გამოაძევეს, როდესაც ტურნირის ერთერთ მოსამსახურეს აუშარდა, ხოლო უიმბლდონის ტურნირზე ერთ-ერთ ჟურნალისტს მობილური ტელეფონი დაუმტვრია.

ელენა დოკიჩი მამას გაურბის.

მოკლედ

პირესი სამ კლუბს უნდა

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ლონდონის "არსენალის" ფრანგ ნახევარმცველ რობერ პირესით იტალიური "რომაც" დაინტერესდა. ცნობილია, რომ ზაფხულში პირესს "მეთოფეებთან" კონტრაქტის ვადა ეწურება და ფეხბურთელს ჯერ არ გადაუწყვიტავს, სად გააგრძელებს კარიერას. ადრე ფრანგი ნახევარმცველით ესპანეთის "ვალენსია" და "ესპანიოლი" იყვნენ დაინტერესებულნი.

"მანჩესტერ იუნაიტედი" გატუზოთი დაინტერესდა

იტალიური პრესა იუწყება, რომ ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედი" "მილანის" საყრდენი ნახევარმცველით ჯენარო გატუზოთი არის დაინტერესებული. გატუზოს სახით სერ ალექს ფერგიუსონი ვარაუდობს, რომ "სელტიკში" წასულ როი კინს შეცვლის. იტალიელთან კონტრაქტი შეიძლება ზაფხულში გაფორმდეს.

"მზიურის" პრივატიზაციის ასპექტები

პირველი გვერდიდან

80-იანი წლების დამლევს, მოსკოვში საქართველოს სსრ-ს გადაეცა "მზიურის" კომპლექსი, რომელიც შედგებოდა დიდი შენობისაგან და მის უკან, ეზოში განლაგებული ორსართულიანი ფლიგელისაგან, ძირითადი შენობა - მფლობელობაში, ხოლო ეზოში განთავსებული ფლიგელი - იჯარით. 1990 წლიდან, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის და "მზიურის" დირექტორის მითითებით, ორსართულიანი ფლიგელის მეორე სართულზე განთავსდა მოსკოვის ქართული სათვისტომო.

"მზიურის" დიდ შენობას რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ორსართულიანი ფლიგელის რეკონსტრუქციაში საქართველომ 80-იანი წლების დამლევს, დღევანდელი ფასებით, დახარჯა 1 მილიონ დოლარამდე (ამის დამადასტურებელი საფინანსო საბუთების ასლები ხელთა გვაქვს), რის გამოც, რუსეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამ ფლიგელის საქართველოს მფლობელობაში გადაცემას კარგი იურიდიული პერსპექტივა უჩანდა, მაგრამ არბიტრაჟის მსვლელობისას, საქართველომ (ეს საქმე დავალებული ჰქონდა "მზიურის" დირექტორს მ.ხარძეიშვილს) მოულოდნელად მოხსნა პრეტენზიები ამ ორსართულიან ფლიგელზე. მ.ხარძეიშვილის თქმით, მოსკოვის მთავრობამ მოსთხოვა საქართველოს $200 000, ვითომდა შენობის 15-წლიანი არენდისათვის, რომლის გადახდაზე, მისივე თქმით, საქართველოს "ზემდგომმა ინსტანციებმა" უარი განაცხადეს. ასეთი "უპასუხისმგებლო პასუხი", მით უმეტეს იწვევს გაკვირვებას, რომ ექსპერტების შეფასებით, ფლიგელის ღირებულება დღესაც, გაურემონტებელ მდგომარეობაში, აღემატება 2 მილიონ დოლარს.

როგორც იქნა, მრავალწლიანი საარბიტრაჟო დავის შედეგად, საქართველომ მოახერხა "მზიურის" მთავარი შენობის დაბრუნება, ხოლო საქართველოსათვის დაკარგული ფლიგელი მოსკოვის მთავრობამ ფარულად, კანონით გათვალისწინებული აუქციონის გარეშე, სასწრაფოდ მიჰყიდა მ.ხარძეიშვილთან დაახლოვებული ქართველი ბიზნესმენების ფირმას. როგორც მოსკოვის ოფიციოზი, ისევე ფლიგელის მყიდველები, მალავენ ინფორმაციას გადახდილი თანხის შესახებ, მაგრამ მოსკოველ ქართველობაში ცნობილია, რომ ამ შენობაში გადახდილია მის საბაზრო ღირებულებაზე რამდენჯერმე ნაკლები თანხა.

ჩვენი სამშობლოსათვის სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა იმ ფაქტმა, რომ უძველესი ქართული ორგანიზაცია - "მოსკოვის ქართული სათვისტომო", თავისი ბიბლიოთეკით, თეატრით, ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის წრეებითა და ჩვენი ძირძველი კულტურის სხვა ატრიბუტებით, ახალმა ქართველმა მფლობელებმა ქუჩაში გაყარეს. გაყარეს იმ შენობიდან, რომელშიც 16 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სათვისტომო. ალბათ ამგვარ "წვრილმანისადმი" ყურადღება მთლიანად დაჩრდილა "მზიურის" მთავარი შენობის საქართველოს მფლობელობაში დაბრუნების სიხარულმა, თუმცა აუქციონი "მზიურისთვისაც" გამოცხადდა, სასტარტო ფასი 20 მილიონი დოლარი, რაც სავსებით რეალურია, მაგრამ არის რამოდენიმე გარემოება, რომელიც ცვლის აქცენტებს ამ ოპტიმისტურ სურათში.

ობიექტის მთლიანობა და ღირებულება

სპეციალისტების შეფასებით, დიდი და პატარა შენობის ერთიანი კომპლექსი დღესვე გაიყიდებოდა 40-ზე მეტ მილიონ დოლარად. საქმე ისაა, რომ ამ ორი შენობის კონტურებით შემოფარგლული ეზო, მომავალ მფლობელს თავბრუდამხვევ პერსპექტივებს უხსნის: ამ ეზოში, არბატის ქუჩაზე, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, მფლობელი ადვილად შეძლებს მრავალსართულიანი მიწისქვეშა გარაჟის მოწყობას, მანქანებისათვის ძალიან ხელსაყრელი, ორმხრივი მისადგომებით; ხოლო "მზიურის" ეზოს მთლიანი გადახურვა იძლევა შესაძლებლობას დიდი მოცულობის სავაჭრო ან გასართობი კომპლექსის მოსაწყობად.

პოლიტიკური ფაქტორები

ფლიგელის გასხვისებამ უსახლკაროდ დატოვა მოსკოვის ქართული სათვისტომო. უსახლკაროდ დარჩენილი სათვისტომოს წევრების უმრავლესობამ თავი შეაფარა წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიას; ხოლო ზოგიერთები, რომლებმაც ლოიალობა გამოიჩინეს პირადად მ.ხარძეიშვილის მიმართ, თავის შენობაში "მზიურის" ადმინისტრაციამ შეიკედლა. სწორედ "მზიურის" დირექციის მფარველობის ქვეშ მყოფმა ქართველების ჯგუფმა წამოიწყო საქართველოს პრეზიდენტის სახელზე პეტიციების წერა, "მზიურის" გაყიდვის გაუქმების თაობაზე. ამავე დროს, მათ მოახერხეს რუსეთის სამთავრობო ტელეარხზე გადაცემის ინსპირირება, რომელშიც გაკრიტიკებული იქნა საქართველოს ხელისუფლება "ქართული კულტურისა და ტრადიციების კერის მოსპობისათვის". რატომღაც, PTP-ის ამ გადაცემაში, ალბათ, პროვოკაციის მიზნით, ფიგურირებდა "მოსკოვის ქართული სათვისტომოს" სახელი, რომელიც პირიქით, მიუხედავად რუსეთის ოფიციოზის მხრიდან მრავალი შეთავაზებისა, ყოველთვის პრინციპულად არიდებდა თავს საქართველოს კრიტიკას რუსეთის მასმედიაში.

"მზიურის" გაყიდვისადმი კრიტიკულად განწყობილი ქართველების გარდა, PTP-მა, ამავე სიუჟეტში აჩვენა ინტერვიუ მოსკოვის მერიის ერთ-ერთ ჩინოსანთან, რომელმაც ბრძანა, რომ "მზიურის" საქართველოს მფლობელობაში გადასვლის ფაქტი კითხვის ქვეშ რჩება და იქ ზოგი რამ კიდევ გადასამოწმებელიაო. მერიის ჩინოსანის მინიშნება, რომ პრინციპში შესაძლებელია არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვა, გარდა სხვა შესაძლო მოტივებისა, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა აუქციონზე გატანილი ობიექტის ფასის დაგდებას.

ბოლო ხანებში, ალბათ სპეცსამსახურების ინიციატივით, მოსკოვში დაიწყო ასლან აბაშიძისა და იგორ გიორგაძის მომხრეების კონსოლიდაცია. გასაგებია, რომ ეს ალიანსი ისარგებლებს არა მარტო ფედერალური ხელისუფლების, არამედ მოსკოვის მერიის მხარდაჭერითაც, რადგანაც ლუჟკოვი დღე და ღამე ოცნებობს რევანშზე. ამ რევანშის თანამონაწილე დიდი სიამოვნებით გახდებოდა ასლან აბაშიძეც, რომელიც 90-იან წლებში უკვე შემოეჩვია "მზიურს", როგორც თავის საკუთრებას, რომელსაც იგი აკონტროლებდა ე.წ. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობის" მეშვეობით. ლუჟკოვის მხრიდან მოსალოდნელია ისეთი კომბინაციის ჩატარება, რომ საბოლოო ჯამში, "მზიურის" კომპლექსი აღმოჩნდეს აბაშიძე-გიორგაძის დაჯგუფების ხელში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოველ ქართველებს, წლების განმავლობაში უკვე გამოუმუშავდათ "მზიურის" გარშემო თავმოყრის მდგრადი რეფლექსი და თუ ამას დავუმატებთ აბაშიძე-ლუჟკოვის ძმური ტანდემის მატერიალურ შესაძლებლობებს, სავსებით რეალურია ახალი, მძლავრი ქართული, ან უფრო სწორად, ანტიქართული ორგანიზაციის შექმნა "მზიურის" ბაზაზე.

დასკვნები

დღეისათვის, რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ საბოლოოდ გაიზიარა ჩუბაისის მიერ ჩამოყალიბებული იმპერიული აღორძინების ლიბერალური იდეოლოგია. ამავე დროს, საქართველოში დაინერგა ულტრალიბერალური პრივატიზაციის მოდელი. ამ მოდელით, მიღებული მოგების თანხა აყვანილია აბსოლუტში, ხოლო სხვა სერიოზული მოსაზრებები, როგორიცაა მყიდველის პოლიტიკური მართვადობა უცხოეთის, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრული ცენტრებიდან, ან გასაყიდი ობიექტის მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, არავითარ როლს არ თამაშობს. ამიტომ, ჩუბაისის თეორიით შეიარაღებული რუსეთის კაპიტალი გახდა ქართული ულტრალიბერალური პრივატიზაციის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. ამგვარი პრივატიზაციის პრინციპები გადააქცევენ საქართველოს იოლად "ასათვისებელ" ლუკმად რუსეთის გოლიათი კომპანიებისთვის, რომელთა ვებერთელა იმპერიულ სხეულებზე, ცივილიზებული მსოფლიოს მოსატყუებლად, მიბმულია საბაზრო ეკონომიკის პაწაწინა, დეკორატიული კუდები. გასაგებია, რომ მთელი რუსეთის სახელმწიფოს პოტენციალით ზურგგამაგრებული ფირმები ადვილად უგებენ ტენდერებს ნებისმიერ დასავლეთის ფირმებს, რომლებიც მართლაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დგანან.

"მზიურის" პრივატიზაციის გარშემო შექმნილმა სკანდალმა ცხადყო, რომ:

- როგორც ჩანს, უწყებას, რომელსაც სახელმწიფომ მიანდო ამ ობიექტის პრივატიზაცია, საკითხის მომზადების პროცესში, ობიექტის სამართლებრივი ისტორია და ეკონომიკური პოტენციალი საერთოდ არ შეუსწავლია და იგი ცალმხრივად ეყრდნობოდა მხოლოდ დაინტერესებული პირების რეკომენდაციებს.

- მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში ესოდენ ფართოდ დანერგილი ულტრალიბერალური პრივატიზაციის პრინციპებიც აშკარად ირღვევა: ამ ობიექტის მოუმზადებელი პრივატიზაციისაგან დაგეგმილი შემოსავალი საგრძნობლად ჩამოურჩება ობიექტის რეალურ ეკონომიკურ პოტენციალს.

- ანალიზიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ულტრალიბერალური დოქტრინის განურჩეველი მექანიკური განვრცობა ყველა გასაყიდ ობიექტზე, წარმოადგენს სტრატეგიულ შეცდომას: საქართველოსათვის პოლიტიკურად სულერთი არ არის, თუ ვინ დაეუფლება ამა თუ იმ პრივატიზაციის ობიექტს, ეს იქნება "მზიური", თუ გაზის მაგისტრალური მილსადენი.

- ყველაზე გამართლებულად ჩვენ მიგვაჩნია მოსკოვში მოქმედი ერთ-ერთი უმაღლესი კვალიფიკაციის საზღვარგარეთული იურიდიული ფირმის დაქირავება, რომელსაც უნდა დაევალოს "მზიურის" კომპლექსის მთლიანობის აღდგენის სასამართლო პესპექტივების შესწავლა. თუ სახელმწიფო დათანხმდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ოპერატორ-აუქციონიტის - "სოტბისის" - მოწვევაზე, ალბათ ელიტარული საზღვარგარეთული იურისტების სიძვირემაც უკან არ უნდა დაახევინოს. საბოლოო გადაწყვეტილება "მზიურის" გაყიდვა-არგაყიდვაზე მთავრობამ უნდა მიიღოს მხოლოდ უმაღლესი დონის იურისტების დასკვნაზე დაყრდნობით და არა დაინტერესებული პირების მიერ ინსპირირებული წერილების ან ტელესიუჟეტების გამო!

- ნორმალური დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ისევე როგორც კრიზისულ სიტუაციებში, საჭიროა, რომ დიასპორას ჰქონდეს საქართველოს ხელმძღვანელობასთან საიმედო ორმხრივი საკომუნიკაციო არხი.

მიწვევა განაცხადების წარმოსადგენად

თარიღი:	2006 წ. 20 იანვარი
კონტრაქტის საიდენტიფიკაციო N:	NCB/GovCh-2006
მსოფლიო ბანკის კრედიტის N:	3264 GEGE
მსოფლიო ბანკის კრედიტის სახელი:	სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტი

1. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტის ხარჯების დასაფარავად და აპირებს ამ სესხის თანხის ნაწილი მოახმაროს საქართველოს მთავრობის კანცელარიის შენობის, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N 7, სარეკონსტრუქციო სამუშაოების კონტრაქტით გათვალისწინებულ ხარჯებს (კონტრაქტის N: NCB/GovCh-2006)

2. საქართველოს მთავრობის კანცელარია და საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი ერთობლივად იწვევენ დალუქულ საკონკურსო წინადადებებს მთავრობის კანცელარიის III სართულზე მთავარი შესასვლელი პორტალის რეკონსტრუქციის ჩასატარებლად.

3. საკონკურსო დოკუმენტების (და დამატებითი ეგზემპლარების) შეძენა შეიძლება საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლის ოფისში, მისამართი: N 70, ი. აბაშიძის ქ. მე-III სართული, 0162, თბილისი, საქართველო (ტელ: 24-13-64, 95-08-65, 95-52-68, ფაქსი: 24-13-64), თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 150 ლარის გადახდის შემდეგ. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე.

4. განაცხადები ძალაში უნდა დარჩეს განაცხადების გახსნის შემდეგ 60 დღის განმავლობაში, მათ თან უნდა ახლდეს 5,000 ლარის საბანკო გარანტია, და უნდა მიწოდებული იქნას მთავრობის კანცელარიაში მთავრობის კანცელარიის უფროსის ბატონი პეტრე მამრაძის სახელზე N403 ოთახში, მისამართი: ინგოროყვას ქ. N 7, თბილისი, საქართველო (ტელ/ფაქსი: 984006, 921978), არა უგვიანეს 2006 წ. 20 თებერვლის 12:00 საათისა, რომელ დროსაც ისინი გაიხსნება იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
ციფრული ფერადი საბეჭდი მოწყობილობა (მინი სტამბა)

(GEP/G/004/ICB/2006)
კრედიტი N. 3474 GE

საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან პროექტისათვის "ილია ჭავჭავაძე" და გამიზნული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს ციფრული ფერადი საბეჭდი მოწყობილობის შესაძენად (GEP/G/004/ICB/2006).

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იწვევს მომწოდებლებს ციფრული ფერადი საბეჭდი მოწყობილობის შესაძენად, დასაინსტალირებლად და თანამშრომლების მოსამზადებლად.

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის პროცედურების გამოყენებით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში *"შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტების გამოყენებით (გამოცემულია 1995 წლის იანვარში, ცვლილებები შეტანილია 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში)"*. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ კომპანიას.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო პაკეტი და დამატებითი ინფორმაცია საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე.

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და 180 ლარის გადახდის საფუძველზე. დაინტერესებულ კომპანიებს სურვილისამებრ სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შეუძლიათ საფოსტო კურიერისა ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. გადახდის მეთოდია პირდაპირი დეპოზიტი ან გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

სააქციო საზოგადოება "ბაზის ბანკი"
ანგარიშის N133052, ბანკის კოდი: 220101956

ყოველ სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო წინადადების გარანტია 4'000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარის ან ამ თანხის ეკვივალენტის ოდენობით ლარებში. სატენდერო წინადადებები წარდგენილ უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 1 მარტის 17:00 საათისა. აღნიშნულ ვადაზე გვიან მიღებული წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მოცემულ მისამართზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას, 2006 წლის 1 მარტს, 17:00 საათზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
0102 თბილისი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102
ტელეფონი: 95-98-37
ფაქსი: 95-83-13
ელ.ფოსტა: eka@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

ნინია კაკაბაძის სვეტი

ბედკრული ქათამი, ქურდი და მწერალი

როგორც ჩვენთან იტყვიან, ახალი წლები და არა ახალი წელი, ჩემს ქართველ ქათმებთან ერთად გავატარე. ზოგი დორბლმორეული იყო, ზოგი აგონიაში, ზოგიც ჯანმრთელად დაკაკანებდა ეზოში თუ ფერმაში, მაგრამ სიკვდილის შიში ყველა მათგანს ეტყობოდა გამომეტყველებაში. რა დამავიწყებს, მათ სევდიან თვალებს, რომელნიც შველას გვთხოვდნენ, მაგრამ ამ ახალი ვირუსით გახარებულმა ჯანმრთელობის მინისტრმა მათთან სანუგეშოდ მისვლა ყველას აგვიკრძალა. ხშირად ვფიქრობ, რა მარტივია ისტორიაში მოხვედრა. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ვინაობა ქვეყნის მოსახლეობის 99-მა პროცენტმა არც კი იცოდა, მაგრამ მისი მკაცრი, დაუნდობელი და რადიკალური განცხადების შემდეგ - ყველა მესამე მოკვდება, - ვინ დაივიწყებს მის საოცრად ინტელექტუალურ გამომეტყველებას, სახელს და გვარს. მისი იერი, ასე სკრუპულოზურად შესწავლილი ქათმების ჰაბიტუსის მსგავსად, მარადიულად იარსებებს ქართველი ერის მეხსიერებაში. არც ის ვიცი, ვისი მეშინოდეს მომავალში, - ქათმების თუ მინისტრის?!

ეს ქათმებიც რომ ღმერთმა გამოუგზავნა ქართულ მედიას "ზასტოის" ორკვირიან პერიოდში, ესეც ფაქტია. ვიდრე ქართული პოლიტიკური ელიტა გუდაურსა და ბაკურიანში ახლად დატკეპნილ თოვლზე საკუთარ გრაციებს მოათამაშებდნენ, მათი ადგილი მედია სივრცეში, უცხოელმა და ქართველმა ქათმებმა დაიკავეს. მაგრამ, ეს შესანიშნავი დღესასწაულებიც გასულ წელს გავატანეთ და ყველაფერი თავის ადგილზე იწყებს მოთავსებას. პრიორიტეტებიც გამოიკვეთა: კანონიერი ქურდები, მართლმადიდებელი საზოგადოება ომბუდსმენის წინააღმდეგ და მწერალთა კავშირის საპატიო მწერლები. რასაკვირველია, ეს ყველაფერი გამადიდებელ შუშაში დანახულ ქათმებთან არაფერია, მაგრამ მაინც ღირს მათზე ყურადღების შეჩერება.

კანონიერი ქურდები - ეს თემა გასული წლიდან გადმოგვყვა, მაგრამ ჯერ კიდევ აქტუალურია. გასული წლის უკანასკნელ სვეტში ორი სიტყვით მეც ვისაუბრე, მაგრამ რამდენიმე სიტყვას ახლაც დავამატებ. ქართულ ციხეებში შექმნილ მდგომარეობას, ზოგი ამგვარად აფასებს და ასეთ სურვილს გამოთქვამს, და ისინი კანონიერი ქურდების მხარდამჭერები არ არიან; "კრიმინალური ავტორიტეტები კი არ მოვაქციოთ რიგითი პატიმრების პირობებში, არამედ რიგით პატიმრებს შევუქმნათ მსგავსი პირობები". ეს უნდა აღვნიშნო, რომ ერთობ იდეალისტური მიზანია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქურდების საცხოვრებელი პირობები ციხეში, თავისუფლებაზე მყოფი ოლიგარქის, ბიზნესმენის თუ უბრალოდ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლის პირობებს არ ჩამოუვარდება.

ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენს და მათგან 20-30 პროცენტი შიმშილის ზღვარზე იმყოფება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც არავინ მოუკლავთ, არაფერი მოუპარავთ, არც ნარკოტიკი გაუყიდიათ და მათი ერთადერთი დანაშაული ის გახლავთ, რომ ისინი გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე. ამ პირობებში ყველა პატიმრისათვის, კანონიერი ქურდის მსგავსად, საცხოვრებელი პირობების მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, არაჰუმანური და ამასთანავე არარეალურია. ქართველის უპირველესი უმეცრება, სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ გვიჭირს რეალისტურად აზროვნება, გვიჭირს ზომიერების შეგრძნება და აქედან გამომდინარე, ჩვენი პრეტენზიები უმეტეს შემთხვევაში არაკონსტრუქციულია. ის, რომ ზოგადად პატიმრების სოციალური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, ფაქტია, მაგრამ თუკი დღეისათვის შეუძლებელია ყველა პატიმარი კრიმინალური ავტორიტეტების მსგავს პირობებში მოვაქციოთ, მაშინ უმჯობესი იქნება ქურდებმაც ისე იცხოვრონ ციხეში, როგორც რიგითმა, მოკვდავმა პატიმარმა. ის, რომ ეს ავტორიტეტები ციხეში ყველა პატიმრის უფლებას იცავდნენ და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, ეს ილუზია, ვფიქრობ, უსაფუძვლოა. საზოგადოებამ პირველყოვლისა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ადამიანის უფლებების დაცვა უნდა მოითხოვოს, სადაც დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც არსებობისათვის მინიმალური პირობები მაინც ექნება.

ახლა რაც შეეხება კანონიერ ქურდებს, მათთან ღია ომს და სავარაუდო შედეგებს. ქურდული სამყარო მის მიერ გამოგონილი, დაწესებული კანონებით სარგებლობს. თუკი მათ დაუწერელ "კანონპროექტს" გავეცნობით, რამდენიმე ქვეთავი, იმდენად ჰუმანურად გამოიყურება, თითქოს ახალი აღთქმიდან არის გადმოწერილი. მსგავსებას ბევრს ნახავთ. მაგრამ ქურდები ისეთივე კავშირში არიან ბიბლიასთან, როგორც ქართული ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციასთან. ორივე მათგანი საკუთარ კანონებს იგონებს და მას ემორჩილება, ისინი განსაზღვრავენ პრივილეგირებულთა და ჩაგრულთა ვინაობას, საკუთარი სუბიექტური მოსაზრების მიხედვით - რა გამოადგება დიად საქმეს - მოქმედებენ. ამიტომ, ეს აქცია ერთგვარ დაპირისპირებას ჰგავს და არა ბოროტისა და კეთილის ბრძოლას. თუკი სტალინური პერიოდიდან მოყოლებული, კომუნისტური პარტია კანონიერ ქურდებთან თანამშრომლობდა, ჩვენს ხელისუფლებას დამხმარე ავტორიტეტული სამყარო არ სურს და მათ წინააღმდეგ ილაშქრებს. გასულ წელს ერთხელ უკვე მოგახსენეთ და კიდევ გავიმეორებ, რომ საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს იმისათვის, რომ არ მოხვდეს ჩანაცვლება. კანონიერი ქურდების სახით მხოლოდ სახელწოდება არ გავაუქმოთ და შინაარსი არ დავტოვოთ. ქურდული სამყაროს მსგავსად, ყველა უკანონობას და უსამართლობას უკანონობითა და პირადი ინტერესებით (რაოდენ დიადი მიზანიც არ უნდა იყოს) კი არ ვებრძოლოთ, არამედ კანონით.

გულწრფელად მწყდება გული, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება და მისი დანამატი არასამთავრობო ორგანიზაცია ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მანკიერ სამყაროს ებრძვის, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია იმის გარანტია, რომ გვჯეროდეს - მათი ბრძოლა აშკარად უკეთესი მომავლისკენ არის ორიენტირებული.

P.S. არ შეიძლება ორი სიტყვით, კიდევ ერთი კავშირი თუ სამყარო არ გავიხსენოთ. სარაჯიშვილის ნაანდერძევი შენობის დამცველი მწერლები. შენობა, რომელიც ერთ კლანს ეკუთვნის და იქ ბალღებს თავმჯდომარის ტექსტზე შექმნილ სიმღერებს ამღერებს. საქართველოში ხომ სიტყვა კავშირი კლანთან არის გაიგივებული და ამ შემთხვევაში მწერალთა ერთ კლანს გულისხმობს. დავით სარაჯიშვილის ანდერძს მაყვალა გონაშვილი, რეზო მიშველაძე და მისთანანი თუ ამგვარად გამოიყენებდნენ, ამას ჩვენს ბედკრულ ქვეყანაშიც კი ვერავინ განჭვრეტდა წინასწარ. მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, რომ მწერალი კაბინეტს ასე ებღაუჭებოდეს და ამისათვის დროსა და ენერგიას არ იშურებდეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, წარმოდგენილი სპექტრიდან ვინ არის სინამდვილეში მწერალი და ვინ არა, ეს რომ სამარცხვინო კლანია, ეს ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას. მხოლოდ ერს გამოვყოფდი - საბედნიეროდ, ამ მწერალთა კლანს, საკვირველია და ამავე დროს სასიხარულოც, რომ დამცველები არ გამოუჩნდნენ, რომელნიც მათთვის ამ შეობის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. მერწმუნეთ, ეს ერთი, საკმაოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია სამოქალაქო ცნობიერებაში.

FM ცნობა 98.0

ლაშა და პატიმრები

ლაშა ბუღაძე: "დიალოგების" დღევანდელი თემაა ის აქტუალური პრობლემები, რომელიც ახლავს ციხეს. ჩვენი სტუმარია ქალბატონი ელენე თევდორაძე. ბევრი პრობლემაა, ყველაზე ხშირად რასაც უჩივიან პატიმრები პირობების უქონლობასთან ერთად, არის ის, რომ მათ არ აქვთ საშუალება, ხშირად ეკონტაქტონ ახლობლებს. თუნდაც ტელეფონის საშუალებით.

ელენე თევდორაძე: ყველა ზონაში არ გვაქვს ტელეფონი, მაგრამ წესით უნდა იყოს. ამიტომაც პატიმრებს აქვთ უფლება, მოითხოვონ იმ ტელეფონით სარგებლობა, რომელიც ადმინისტრაციას აქვს. რაც შეეხება პაემნებს, ჩვენ ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში გაწერილი რეჟიმი გვაქვს. პაემანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გულისტკივილით მინდა ავღნიშნო, რომ პატიმრებს არც ისე ხშირად აკითხავენ. განსაკუთრებით ეს ქალთა კოლონიას ეხება. ასევე არასრულწლოვნებს, რომლებსაც მშობლები ძალიან იშვიათად აკითხავენ. ამას ახსნაც აქვს, როგორც წესი, ისინი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები. მშობლებს არ აქვთ საშუალება, რაიმე მიუტანონ შვილებს. მაგრამ, მე ამ შემთხვევაში ბევრად გულდამშვიდებული ვარ, რადგანაც დაფინანსება კვებისთვის იზრდება და გარედან შეტანილი საკვები საჭირო აღარ გახდება.

მინდა, საგამოძიებო იზოლატორებს შევეხო. ლონდონში დავინახე არაჩვეულებრივი რამ. როცა პატიმარი არასდროს არ ყოფილა ციხეში და პირველად ხვდება გისოსებს მიღმა, იგი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება და მას უჭირს გამომძიებელთან კონტაქტი. იქ არიან ფსიქოლოგები, პედაგოგები, რომლებიც მუშაობენ ახლად მიყვანილ პატიმართან. ამ ურთიერთობაში დანაშაულის მონანიებაც არ არსებობს. ვოცნებობ, რომ ჩვენც ამ დონემდე მივიდეთ. სამწუხაროდ, ჩვენთან პატიმრის შოკური მდგომარეობა რთულდება.

ლაშა ბუღაძე: როგორც ვიცი, ქუთაისის საპყრობილეში შევიდა ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელიც პატიმრებთან იმუშავებს.

ელენე თევდორაძე: დიახ, ძალიან მომეწონა ექიმთა ეს ჯგუფი. იქ კარგი სამედიცინო ბლოკი გახლავთ, მაგრამ აქამდე ცარიელი იყო. ექიმებმა სარენტგენო აპარატურა გვთხოვეს პირველ ეტაპზე. თუ მათ აღჭურვას მოვახერხებთ, ისინი ძალიან ბევრს დაეხმარებიან. ასეთი სამედიცინო ბლოკები ყველა ციხეში უნდა იყოს, რათა ყველა კუთხიდან თბილისის "რესბალნიცაში" არ მოყავდეთ პატიმრები. ისე კი სიახლეა ისიც, რომ "რესბალნიცის" საერთოდაც გაუქმებაზე დავიწყეთ საუბარი. ნელა-ნელა ყველა საპატიმროში შევლენ ფსიქოლოგთა ჯგუფები.

მსმენელი: მე ძმა მყავს პატიმარი, გუშინ ვიყავი და ფული არ შემატანინეს. არადა, პატიმრებს სჭირდებათ. იქ ხომ არის მაღაზიები, სადაც სიგარეტს და სხვას ყიდულობენ. რა ხდება ამასთან დაკავშირებით?

ელენე თევდორაძე: ფული არ არის ნუსხაში შეტანილი. ახალი კანონის საფუძველზე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ფული პატიმრის ბარათზე უნდა იყოს გადარიცხული. როცა მას დასჭირდება ადმინისტრაცია თავად მისცემს ფულს, რათა მაღაზიაში რაიმე შეიძინოს.

ლაშა ბუღაძე: აღნიშნეთ, რომ გაუქმდება ე.წ. "რესბალნიცა", რომელიც პირველ საპყრობილეშია. ის ერთადერთია, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ნორმალური პირობებია?

ელენე თევდორაძე: არავითარ შემთხვევაში. იქ საშინელი სიტუაციაა. ერთადერთი იქ არ არის ჩაკეტილი სივრცე და ავადმყოფ პატიმარს შეუძლია დერეფანში გავლა. მაგრამ ის პრაქტიკულად მიწისქვეშეთია.

ლაშა ბუღაძე: მინდა, ზოგადი თემა შემოვიტანო. ამ ბოლო დროს იყო ლაპარაკი, თუ როგორი პრობლემაა ქურდული მენტალიტეტი და კრიმინალური ფასეულობები. მაინტერესებს, თქვენი აზრით, მხოლოდ საზოგადოებას ხომ არ ვანიჭებთ ბერკეტს, კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ გალაშქრების თვალსაზრისით. რაღაც ნაბიჯები ხელისუფლებამაც ხომ უნდა გადადგას? გასაგებია, რომ საზოგადოებამ უნდა დაგმოს ქურდული მენტალიტეტის ურთიერთობები, მაგრამ რეალურად ეს მოიტანს შედეგს?

ელენე თევდორაძე: მე მაქვს ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ქურდი - ეს არის პროფესია. ეს არის წლების განმავლობაში შექმნილი კასტა და რა თქმა უნდა, ერთი განცხადებით, ერთი ხელის მოსმით, ერთი კანონის მიღებით ეს პრობლემები ვერ მოგვარდება. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ არის ხელისუფლების სურვილი მენტალიტეტის შეცვლაზე, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ აზროვნების შეცვლა საკმაოდ რთულია. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ეს სამყარო არ იყოს მიმზიდველი იმ ადამიანებისთვის, ვინც ჯერ კიდევ მისგან შორსაა. ახალგაზრდობა, ჩვენ უნდა დავიცვათ ამ კასტისგან. მათთვის ქურდები ავტორიტეტები არ უნდა გახდნენ, მაგრამ ვქმნით ჩვენ სხვა ავტორიტეტებს? აი, ეს არის მთავარი. ამიტომაც ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი მუშაობა. ხელისუფლებას, დეპუტატებს გვევალება მრავალგვარი მიმართულებით მუშაობა, რათა ახალგაზრდობას ბევრად საინტერესო მომავალი შევთავაზოთ. როცა ჩვენ გვინდა აზროვნების შეცვლა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდობის ფასეულობების სხვა მიმართულებით მიმართვისათვის. ფასეულობა, ჩემი აზრით, მაინც არის ჩვენი კულტურა, ჩვენი რელიგია. ამ მიმართულებით ძველი ხელისუფლების დროს ნაკლებად იყო მუშაობა. სულ მებადებოდა შეგრძნება, რომ ისინი ძალიან კარგად იყვნენ შერწყმული ამ სამყაროსთან. ჩვენ ამაზე ვთქვით უარი, მაგრამ ალტერნატივა ჯერჯერობით არ შეგვიქმნია.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწვრობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

ყურადღება!
რესტორანი "დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქანაწილი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge



მოკლედ

დევიდ ბოუი და ჯგუფი "ქრიმი" "გრემის" ელიან

მომღერალი დევიდ ბოუი და როკ-ჯგუფი "ქრიმი", რომელშიც 60-იანი წლების ბოლოს ერიკ კლეპტონი უკრავდა, სულ მალე მუსიკისთვის გაწეული ღვაწლისთვის "გრემის" ჯილდოებს მიიღებენ. ვეტერან მუსიკოსებს საპატიო ჯილდოები 7 თებერვალს გამართულ დაჯილდოებაზე გადაეცემათ.

ბრიტანელი მომღერალი და კომპოზიტორი დევიდ ბოუი თავისი ორმოცწლოვანი კარიერის განმავლობაში აქამდე მხოლოდ ერთი "გრემის" მფლობელი გახლდათ, რომელიც მან 1985 წელს დაიმსახურა. რაც შეეხება ახალ "გრემის", იგი მას ნოვატორობისა და ორიგინალურობისთვის მიიღებს.

რაც შეეხება ინგლისურ ჯგუფს, თავის დროზე ჯერ ბლუზითა და შემდეგ როკით გატაცებულ "ქრიმს", იგი სულ რამდენიმე წელი არსებობდა, მაგრამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა როკ-მუსიკის შემდგომ თაობებზე.

ლონდონში დედოფლის პორტრეტი აღმოაჩინეს

ლონდონში აღმოაჩინეს ინგლისის დედოფლის ლედი ჯეინის პორტრეტი. ის ინგლისს 1553 წელს მხოლოდ 9 დღე მართავდა და 16 წლის ასაკში თავი მოკვეთეს. აქამდე ითვლებოდა, რომ ჯეინ გრეი ერთადერთი დედოფალი იყო, რომლის პორტრეტებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ლედი ჯეინი აიძულეს ცოლად გაჰყოლოდა გილფორდ დადლის, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკოსად ითვლებოდა. ლედი გრეი ედუარდ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, 1553 წლის ივლისში ავიდა ტახტზე და მარია სტიუარტის ბრძანებით ცხრა დღეში გადააყენეს. 1554 წლის თებერვალში ჯეინ გრეი და მისი მეუღლე სიკვდილით დასაჯეს.

მრავალი ათეული წლის მანძილზე ითვლებოდა, რომ ლედი ჯეინის ერთი პორტრეტი არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ პორტრეტზე კატერინა პარი იყო გამოსახული. პოლ დელაროშის ცნობილი ტილო "ლედი ჯეინ გრეის წამება" XIX საუკუნეშია შესრულებული, რომელშიც ლედი ჯეინის მაგივრად არა რომელიმე ისტორიული პირია, არამედ უბრალო მენატურე. ბოლო დროს ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების ყურადღება მიიპყრო პორტრეტმა, რომელიც XVI საუკუნეშია შესრულებული. ისტორიკოსების აზრით, შესაძლებელია ეს პორტრეტი ლედი ჯეინის იყოს, რადგან პორტრეტი აღწერილობით ძალიან ჰგავს ჯეინ გრეის, თანაც გოგონას ნახატში უჭირავს წიგნი წარწერით Lady Jayne.

საკუროვი და კავკასია

რუსი რეჟისორი ალექსანდრ საკუროვი კავკასიაზე ფილმს გადაიღებს. გადაღებები ყაბარდო-ბალყარეთშია დაგეგმილი და ყაბარდოელი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. რეჟისორის თქმით, აქამდე გადაღებულ ყველა ფილმში კავკასიელთა ბრძოლებია ასახული და არავის უცდია გადაეღო ფილმი იმაზე, თუ როგორი სიყვარული და თავდადება შეუძლიათ კავკასიელებს. საკუროვმა ყაბარდო-ბალყარეთში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა, რომ კავკასიელები მეგობრული და მშვიდობის მოყვარული ხალხია და ამ მოგზაურობის დროს გაუჩნდა ფილმის გადაღების სურვილი. მისივე თქმით, ფილმის მიზანია საზოგადოებამ კავკასიელების სწორად შეფასება შეძლოს და მათი ნამდვილი ხასიათი დაინახოს. ალექსანდრ საკუროვის ახალი ფილმი გაგრძელება იქნება საოჯახო ფილმების: "დედა და შვილი" და "მამა და შვილი".



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge